27
1958

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანებათა და ინსტრუქციათა

კრებული
СБОРНИК

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

11-12

ნოემბერი—დეკემბერი

თბილისი—1958

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

№ 1373/528

1958 წლის 28 ოქტომბერი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისადმი

მოსწავლეთა მე-10 რესპუბლიკური სპარტაკიადის ჩატარებისა და მე-5 საკავშირო სპარტაკიადაში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მოსწავლე სპორტსმენთა კოლექტივის მონაწილეობის შედეგების შესახებ

მოსწავლეთა მე-10 რესპუბლიკური სპარტაკიადა, რომელშიაც მონაწილეობდა 1917 კაცი 32 რაიონიდან და ქალაქიდან, ჩატარდა ორგანიზებულად და გასულ წლებთან შედარებით მაღალ სპორტულ დონეზე; ამ გარემოებამ უზრუნველყო მე-5 საკავშირო სპარტაკიადაზე მონაწილეობისათვის შესაფერისი გუნდების დაკომპლექტება.

მოსწავლეთა მე 5 საკავშირო სპარტაკიადა, რომელიც 1958 წლის აგვისტოში გაიმართა ქ. თბილისში, საქართველოს სსრ მოსწავლეთა გუნდები სათანადოდ მომზადებული შეხვდნენ. გაიმარჯვეს რა სპორტის მთელ რიგ სახეებში, საქართველოს სს რესპუბლიკის მოსწავლეთა გუნდებმა პირველი ადგილები დაიკავეს ტანვარჯიშში (ჭაბუკთა და გოგონათა გუნდებს შორის და აგრეთვე საერთო პირველი ადგილი), ფრენბურთში (გოგონების გუნდებს შორის), კალათბურთში ჭაბუკთა გუნდებს შორის და საერთო პირველი ადგილი), ნიჩბოსნობაში (გოგონათა და საერთო პირველობა), ცურვაში, ფეხბურთსა და წყალბურთში (ჭაბუკთა გუნდებს შორის).

21 გუნდიდან 14 გუნდმა გასულ წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გააუმჯობესა შედეგები, 6 გუნდი გასული წლის სპორტული დონის მაჩვენებლებით გამოვიდა, ხოლო ერთმა გუნდმა

(ველო სპორტი—ვაჟები) დაკარგა თავისი ადგილი და მესამედან მე-9 ადგილზე გადაინაცვლა; მაგიდის ჩოგბურთში, რომელიც წელს პირველად იყო პროგრამაში შეტანილი, რესპუბლიკის გუნდების საათანადოდ მოუმზადებლობის გამო პირველ საფინალო ჯგუფშიაც ვერ მოხვდნენ.

საქართველოს მოსწავლეთა სპორტულმა კოლექტივმა მოიპოვა 13 გუნდური საპრიზო ადგილი, აქედან 8 პირველი, 2 მეორე და 3 მესამე. ყველა ამის შედეგად სპარტაკიადის საერთო პირველობაზე კომპლექსურ ჩათვლაში საქართველოს სპორტულმა დელეგაციამ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებსა და კოლექტივებს შორის პირველი ადგილი მოიპოვა.

მე-5 საკავშირო სპარტაკიადაზე რესპუბლიკამ მიიღო გუნდური პირველობისათვის 12 გარდამავალი თასი და პირად შეჯიბრებაში 118 საპრიზო ჟეტონი, მათგან პირველი ადგილისათვის 71 ჟეტონი, მეორე ადგილისათვის 36 და მესამე ადგილისათვის 11.

განსაკუთრებით თავი ისახელეს: ტანვარჯიზში, საბჭოთა კავშირის პირველობის მოპოვებით მზია ნინოშვილმა, ცალკეულ იარაღებზე—კარლო ხოდიკიანმა, მძლეოსნობაში—ანდრო ბედუკაძემ, იური დიაჩკოვ-დუმბაძემ, ნოდარ კორსანტიამ, ლუდმილა ივევლევამ; სროლაში—ვაჟა არუდაშვილმა; ცურვაში—იური ფუნიკოვმა, ანატოლი სუდარიკოვმა; ნიჩბოსნობაში—სვეტლანა ბერიკაშვილმა, თამარ ფერაძემ, ანტონინა იუდანოვმა, ლიანა ბარისაშვილმა, ნიკოლოზ ხლოპკოვმა; წყალში ხტომაში—ოლგა ტკაჩენკომ. ასეთივე მაღალი წოდება დაიმსახურა 10 კალათბურთელმა ჭაბუკმა; 9 ფრენბურთელმა გოგონამ; 10 წყალბურთელმა და 16 ფეხბურთელმა ჭაბუკმა

ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი გუნდების სათანადო დაკომპლექტება, მომზადება და მათ მიერ პირველი ადგილის მოპოვება უზრუნველყვეს მოწინავე მწვრთვნელებმა: ამხ. მ. კეკელიძემ (კალათბურთი), ნ. მახვილაძემ, ე. ქოვლიევამ, ნ. ბახუტაშვილმა, ი. თავდიდიშვილმა და კ. გრომოვმა (ტანვარჯიში), ვ. ანტონოვმა (ფრენბურთი), იოგანმა და კრილოვმა (წყალბურთი), რაზმაძემ, ალიბეგაშვილმა, ნეიეფტოვმა და ჩაიძემ (ნიჩბოსნობა), ნ. ძიაშიპამ და ჯ. შავდიამ (ფეხბურთი), გ. დათაძემ, სოფრონოვმა, კრიტიკოპულომ, ნოაკიმიდიმ (ცურვა).

აღნიშნულ წარმატებებს მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ჩოგბურთის, მძლეოსნობის, სროლის გუნდებისა და აგრეთვე კალათბურთის გოგონათა გუნდის საარიზო ადგილებზე გამოსვლამ. (მწვრთვნელები: გ. ბაბალანიდი, რ. ბოშკოვი, ა. ხანგულიანი, ე. ვერ-

მიშვა, ვ. ელერდაშვილი, ე. გაგუა, ა. კონსტანტინოვი, ბ. დიაჩკოვი, ელიაშვილი, ა. კერსალიანი, ვ. ლაბუნსკი, ნ. სხირტლაძე, ვ. გიორგაძე, ა. კუკი, კ. ეზუგბაია, თ. ხერხეულიძე, ა. გაბათაშვილი.

ამ გუნდების გამარჯვება უზრუნველყო საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის მიერ სპორტის აღნიშნულ სახეებზე მიმაგრებულთა ნაყოფიერმა ხელმძღვანელობამ (ამხ. ამხ. დ. ფავლენიშვილი, ვ. ჯაფარიძე—ფრენბურთი და კალათბურთი: გ. ჭილაია, გ. მამარდაშვილი, მ. იმნაძე და შ. კაჩუხაშვილი—ტანვარჯიშში; ნ. კაპლუნი—ნიჩბოსნობა; დ. ცომაია, შ. მერკვილაძე—ფეხბურთი; ა. ორახელაშვილი და ა. ბაქრაძე—სროლა; ა. არხანგელსკი—მძლეოსნობა, ნ. მუსასტიკოვი—წყალბურთი).

სპარტაკიადის მომზადებისა და ჩატარების პერიოდში აღსანიშნავია რესპუბლიკის სპორტული ორგანიზაციების ერთსულოვანი დახმარება, რომელიც დროულად იყო ორგანიზებული.

ზემოაღნიშნულ წარმატებებთან ერთად, სპარტაკიადების ჩატარებისას გამოვლინდა რიგი სერიოზული ნაკლოვანებებისა, რომლებსაც ჯერ კიდევ ადგილი აქვს მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის დარგში.

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სპორტსკოლებში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მუშაობა სპორტის ისეთ სახეებში, როგორიცაა მაგიდის ჩოგბურთი, ნიჩბოსნობა, სროლა, ველო-სპორტი, ფრენბურთი, წყალში ხტომა და მძლეოსნობა, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ სახეებში საპრიზო ადგილები იქნა მოპოვებული.

მე-10 რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე მძლეოსნობაში—ზესტაფონის, გურჯაანის, ახალქალაქის, მახარაძის, ტყიბულის, ახალციხის, წყალტუბოს, ბორჯომისა და ჭიათურის სპორტული სკოლების ვერცერთმა მოსწავლემ ვერ შეძლო ჩასათვლელი ნორმატივის ჩვენება, ხოლო ზოგიერთმა რაიონმა (ბოლნისი, მარნეული, თეთრიწყარო, ცაგერი და სხვ.) გუნდიც კი ვერ გამოიყვანა შეჯიბრებების პროგრამით გათვალისწინებულ სპორტის ამ სახეში.

ტანვარჯიშში—ახალციხის, დუშეთის, ზუგდიდის, ფოთის, რუსთავის, ტყიბულის, ხაშურის, ცხაკაიას და თელავის გუნდების მონაწილეებმა ვერ შეასრულეს დაწესებული სათანრიგო ნორმატივები, მაშინ როცა აღნიშნული რაიონის სკოლებში წლების მანძილზე მუშაობენ ტანვარჯიშის ჯგუფები.

სპარტაკიადაზე სპორტის ძირითად სახეებში ცუდად გამო-

ვიდნენ აგრეთვე ჩოხატაურის, გეგეჭკორის, თეთრიწყაროს, სიღნაღის, ბოლნისის, საჩაერის და სხვა რაიონების მოსწავლე-სპორტსმენთა კოლექტივები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსროლელთა ნაკრები გუნდის შემადგენლობაში თბილისის გარდა მონაწილეობდა მხოლოდ ქუთაისისა და სოხუმის თითო მოსწავლე; წყალბურთში—მხოლოდ ერთი მოსწავლე ქ. ქუთაისიდან; არც ერთ გუნდში, გარდა ფეხბურთისა, არ მონაწილეობდნენ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სპორტსკოლის მიერ მომზადებული მოსწავლეები.

ველოსპორტში ვაჟთა გუნდის წარუმატებლობა, გუნდის ძირითადი შემადგენლობის განთესვის გარდა, შედეგია მისი არასწორი შერჩევისა და გამოვლინებული რეზერვის არასაკმარისი წვრთნისა; მაგიდის ჩოგბურთსა და წყალში ხტომაში წარუმატებლობის მიზეზია სპორტიკ ამ სახეების შეუფასებლობა, სასწავლო-მატერიალური ბაზისა და მწვრთნელთა კადრების სათანადოდ მოუმზადებლობა.

რესპუბლიკის სპორტული დელეგაციის გუნდების შემადგენლობაში აბსოლუტური უმრავლესობა დაკომპლექტებული იყო ქ. ქ. თბილისის, ქუთაისის, აფხაზეთის და აჭარის ასსრ რესპუბლიკების სკოლების მოსწავლეთა გარდა მხოლოდ რამოდენიმე რაიონის სკოლების (გორი, ონი, ცხაკაია, ზუგდიდი, თელავი, სამტრედია) თითო-ოროლა მოსწავლით. დანარჩენი რაიონებიდან ნაკრებ გუნდებში სპორტული მუშაობის დაბალი ხარისხის გამო ვერც ერთი მოსწავლე ვერ იქნა შერჩეული.

მოსწავლეთა შორის სპორტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა, გამარჯვებული გუნდებისა და მათი ხელმძღვანელების წახალისების მიზნით ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს სსრ მოსწავლეთა მე-10 რესპუბლიკური სპარტაკიადის შედეგები და მსაჯთა კოლეგიის მიერ ჩატარებული დაჯილდოება დამტკიცდეს.

2. მე-10 რესპუბლიკური სპარტაკიადის ორგანიზებულად ჩატარებისათვის გამოეცხადოს მადლობა მთ. მსაჯთა კოლეგიას და სპორტის სახეების მიხედვით უფროს მსაჯებს.

3. დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებით მე-5 საკავშირო სპარტაკიადაში I—II—III ადგილებზე გამოსული ნაკრები გუნდების ყველა წევრი და მათი მწვრთნელები).

4. საკავშირო სპარტაკიადის ყველა მონაწილეს პირად სარ-

გებლობაში გადაეცეს სპორტული ფორმა, რომელიც მათ მიეცათ სპარტაკიადაში მონაწილეობასთან დაკავშირებით.

5. დაჯილდოვდნენ სსრ კავშირის ქალაქებში საეკსკურსიო საგზურებით მუშაობის გაცნობისა და სპორტული გამოცდილების ურთიერთ გაზიარების მიზნით 30 საუკეთესო ბწვრთვნელი-მასწავლებელი.

6. დაჯილდოვდნენ სახალხო განათლების წარჩინებულის ნიშნით ამხ. ამხ. ი. ბაცელაშვილი, შ. კაკაურიძე, მ. იმნაძე, შ. კაჩუხაშვილი, ნ. კაპლუნი, ტ. სერგიაშვილი, თ. კონსტანტინოვა.

7. კომისიას ამხ, ამხ. თ. ა. ზახაშვილის (თავმჯდომარე), ი. ბოჭორიძის, ბ. ფერაძის, ი. ნაცვლიშვილის, გ. მერკვილაძის, შ. ბერიანიძის და ნ. სეფაშვილის შემადგენლობით დაევალოს ა/წლის 13 ოქტომბერს მოაწყოს სპარტაკიადის შემაჯამებელი საღამო.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის მეთოდურმა კაბინეტმა გაიღოს საღამოს მოწყობისა და დაჯილდოების ჩატარების ყველა ხარჯი თავისი ბიუჯეტიდან.

8. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის მეთოდურმა კაბინეტმა:

ა) ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილებასთან ერთად შეიმუშაოს და ა/წლის 25 ოქტომბრამდე წარმოადგინოს მომავალი 1959 წლის სპარტაკიადისათვის მზადების გეგმა;

ბ) დაბეჭდოს სპორტული სკოლების პროგრამები სპორტის ცალკე სახეების მიხედვით, რისთვისაც განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა განყოფილებამ უზრუნველყოს მეთოდური კაბინეტი საჭირო რაოდენობის ქაღალდით;

გ) 1 ნოემბრიდან მეთოდკაბინეტმა ჩაატაროს რესპუბლიკის მთავარი ცენტრების ფიზიკური აღზრდის ხელმძღვანელ მუშაკებთან სემინარი—შეკრება ახალი პროგრამების შესარჩევად და საქართველოს XI სპარტაკიადის დებულების, პროგრამის და მომზადების გეგმის გასარჩევად.

9. მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და VI საკავშირო სპარტაკიადისათვის უკეთ მომზადების მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სპორტულმა სკოლამ ფიზიკური აღზრდის მეთოდკაბინეტთან შეთანხმებით, გახსნას სპორტული ჯგუფები იმ რაიონებში, სადაც შეირჩევა სათანადო კანდიდატები და უზრუნველყოს ისინი სპორტული ინვენტარით (ველომანქანები, ბაიდარები, სასროლო იარაღი და სხვ.).

10. ქ. თბილისის განათლების განყოფილებამ წარმოადგინოს წინადადებები არსებული სპორტული სკოლების სპეციალიზებულ სპორტულ სკოლებად რეორგანიზაციის შესახებ და არსებულ შტატების ფონდიდან თბილისის განათლების განყოფილებასთან ფიზიკური აღზრდის მეთოდური ბიუროს შექმნის შესახებ.

11. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების, ქალაქების განათლების განყოფილებებმა:

ა) აქედანვე გაშალონ მუშაობა მომავალი 1959 წლის მოსწავლეთა XI სპარტაკიადისათვის მოსამზადებლად, რისთვისაც დააკომპლექტონ სკოლებში გუნდები, დაუწესონ სპორტული შეჯიბრების მტკიცე კალენდარი სპორტის სხვადასხვა სახეში და მთელი მუშაობა მიმართონ ნიჭიერი და სპორტული მონაცემების მქონე მოსწავლეთა გამოსავლინებლად, რაიონის, ქალაქის ნაკრები გუნდების დასაკომპლექტებლად;

ბ) ა/წლის 15 ნოემბრამდე წარმოადგინონ განათლების სამინისტროში სია იმ სკოლებისა, რომელთაც გააჩნიათ სათანადო პირობები (მოედანი და ზამთარში სამეცადინოდ მოწყობილი დარბაზი) ამ სკოლებში ფიზკულტურაში დამატებითი მესამე გაკვეთილის შემოღებისა და ფიზკულტურის სწავლების სპორტული სპეციალიზაციის შესახებ;

გ) დააყენონ ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებში საკითხი მომავალი წლის მოსწავლეთა სპარტაკიადისათვის სათანადო მზადების, გუნდების სამეცადინო სპორტული ბაზებით უზრუნველყოფის, მწვრთნელთა კადრებისა, მოსწავლეთა დამაგრებისა და სხვა საკითხების შესახებ;

დ) ყოველმხრივ წაახალისონ სკოლები და მათი ხელმძღვანელები, რათა სკოლის სადურგლო და საზეინკლო სახელოსნოებში მოსწავლეთა ძალებით დამზადდეს საჭირო სპორტული ინვენტარი.

12. რესპუბლიკის ის სკოლები, რომლებმაც 1957/58 სასწავლო წლის განმავლობაში გაიმარჯვეს სასკოლო მოედნების მოწყობისათვის ჩატარებულ კონკურსში, დაჯილდოვდნენ დებულებით გათვალისწინებული სასპორტო ინვენტარით.

დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა განყოფილებას უზრუნველყოს სკოლებისათვის (თანდართული № 5 სიის მიხედვით) გამოყოფილი სპორტული ინვენტარის მიღება ფიზიკური აღზრდის მეთოდკაბინეტისა და სათანადო რაიონის თანხების ანგარიშში.

12. საოლქო, საქალაქო და რაიონული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტებმა გაუწიონ ყოველდღიური დახმარება განათლების ორგანოებს მოსწავლეთა გუნდების დაკომპლექტებასა და მათი სათანადო მომზადების საქმეში მომავალი VI საკავშირო სპარტაკიადისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე
მ. ი. ბურჭულაძე	გ. ვ. სიხარულიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

№ 1376

1958 წლის 30 ოქტომბერი

ოქროსა და ვერცხლის მედლებით დაჯილდოებული საშუალო სკოლის ზოგიერთი კურსდამთავრებულის შესახებ

უმაღლეს სასწავლებლებში ოქროსა და ვერცხლის მედალოსნების გამოცდების შედეგებიდან ირკვევა, რომ მთელი რიგი სკოლების მუშაობაში ჯერ კიდევ აქვს ადგილი თვალის ახვევისა და ლიბერალიზმის მავნე პრაქტიკას. ზოგიერთი საგამოცდო კომისია უპასუხისმგებლოდ ეკიდება მოსწავლეთა ცოდნის ობიექტურად შეფასების საქმეს. ხშირია ნიშნების ხელოვნურად აწევა შემთხვევები. განათლების განყოფილებები სათანადო ხელვძღვანელობასა და კონტროლს არ ახორციელებენ სკოლების საქმიანობაზე და არ წარმართავენ მათ მუშაობას იმგვარად, რომ სკოლებში მოხდეს მოსწავლეების ცოდნის ობიექტური შეფასება.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ოქროსა და ვერცხლის მედლებით დაჯილდოებულმა ბევრმა ახალგაზრდამ ძალზე დაბალი მომზადება გამოამჟღავნა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების დროს.

განსაკუთრებით სუსტი ცოდნა გამოამჟღავნეს და არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღეს ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა): ოქროს მედალოსანმა ლ. ა. ცხვარაძემ (ვანის საშუალო სკოლა, საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე და საგნის მასწავლებელი სასწავლო ნაწილის გამგე მ. ი. მესხი), ვერცხლის მედალოსნებმა: გ. ვ. ხმალაძემ (ახალციხის ქართული საშუალო სკოლა. დირექტორი ქ. ვ. ცაგარეიშვილი, მასწავლებელი ქ. სტეფანიშვილი), ი. ი. აბდულაევმა (თელავის რაიონი, ქვემო ხოდაშენის საშუალო სკოლა დირექტორი ს. ტყემალაძე, მასწავლებელი ნ. მიქაძე),

ს. გ. თეთრუაშვილმა (დუშეთის რაიონი, არანისის საშუალო სკოლა, დირექტორი დ. ს. თეთრუაშვილი, მასწავლებელი ლ. მ. ჟამუტაშვილი), ნ. მ. სარჯველაძემ (ჩოხატაურის რაიონი, ერკეთის საშუალო სკოლა, დირექტორი ფ. მ. როინიშვილი, მასწავლებელი ზ. მ. ფეფეჭკორი). ზ. ვ. პატარაიამ (ლანჩხუთის პირველი საშუალო სკოლა, საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე სასწავლო ნაწილის გამგე მ. ა. მოისწრაფიშვილი, მასწავლებელი ს. ა. ჩხაიძე), ნ. გ. სამუშიამ (წალენჯიხის რაიონი, ლიის საშუალო სკოლა, დირექტორი ვ. ა. ჟვანია, მასწავლებელი კ. ო. სამუშია);

რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა): ოქროს მედალოსანმა ა. ი. გურგენიძემ (ჩოხატაურის რაიონი, ბუკისციხის საშუალო სკოლა, დირექტორი ა. სიხარულიძე, მასწავლებელი ი. მაჭავარიანი); ვერცხლის მედალოსნებმა მ. გ. პავლაძემ (ხაშურის რაიონი, ქვიშიეთის საშუალო სკოლა, დირექტორი გ. ი. მანჩხაშვილი, მასწავლებელი დ. გ. მარგველაშვილი),ც. ს. პაჭკორიამ (ზუგდიდის რაიონი, ჭითაწყარის საშუალო სკოლა, დირექტორი კ. მიქაია, მასწავლებელი პ. ი. ყუფუნია), ჟ. ვ. შამუგიამ (წალენჯიხის რაიონი, ჭალის საშუალო სკოლა, საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე სასწავლო ნაწილის გამგე ბ. ი. შონია, მასწავლებელი მ. ე. ჭანტურია), ა. ი. საჯაიამ (ცხაკაიას რაიონი, თეკლათის საშუალო სკოლა, დირექტორი ვ. კ. მაქაცარია, მასწავლებელი თ. შ. კიზირია).

მათემატიკაში (წერა): ვერცხლის მედალოსნებმა: მ. ნ. გიორგობიანმა (ქ. ქუთაისის მე-6 საშუალო სკოლა, დირექტორი ი. ი. კორძაძე, მასწავლებელი ვ. ა. ჯღამაძე), დ. ი. სიხარულიძემ (ჩოხატაურის რაიონი, ბუკისციხის საშუალო სკოლა, დირექტორი ა. გ. სიხარულიძე, მასწავლებელი ე. ა. გოგელია), ნ. გ. ტოროტაძემ (ლანჩხუთის რაიონი. ნიგოითის საშუალო სკოლა, საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე სასწავლო ნაწილის გამგე დ. მ. ჩხაიძე, მასწავლებელი თ. ლ. ხუხუნაიშვილი); ა. ა. მახარაძემ (ჩოხატაურის რაიონი, ვანზომლეთის საშუალო სკოლა, დირექტორი ვ. ი. დარჩია, მასწავლებელი ა. ა. ერქომაიშვილი), თ. ა. გვანცელაძემ (ქ. თბილისის 22-ე საშუალო სკოლა, დირექტორი ქ. ს. ჩაჩუა, მასწავლებელი გ. ს. ჭავჭანიძე).

არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღეს მათემატიკაში (ზეპირი) მედალოსნებმა:

კიროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში:

1. რ. შ. ქავთარაშვილმა (ახმეტის რაიონი, დუისის საშუალო სკოლა);

2. ნ. ა. კირიკაშვილმა (ყაზბეგის საშუალო სკოლა);

3. ჯ. გ. კუხალაშვილმა (წულუკიძის პირველი საშუალო სკოლა);

4. ო. გ. კალანდარიშვილმა (მახარაძის პირველი საშუალო სკოლა);

5. ა. კ. სულხანოვმა (ქ. თბილისის 86-ე საშუალო სკოლა);

6. თ. მ. მაკარიძემ (ახალციხის საშუალო სკოლა);

7. ი. ა. რატიანმა (გეგეჭკორის მეორე საშუალო სკოლა);

8. გ. ვ. გაგოშიძემ (ამბროლაურის პირველი საშუალო სკოლა);

9. ი. ლ. სებისკვერაძემ (ქუთაისის რაიონი, ოფურჩხეთის საშუალო სკოლა);

10. ლ. ი. ვაჩნაძემ (ახმეტის საშუალო სკოლა);

11. რ. ბ. ჯაფარიძემ (ქ. თბილისის 46-ე საშუალო სკოლა);

12. ნ. ა. ლორთქიფანიძემ (ვანის რაიონი, სალხინოს საშუალო სკოლა);

13. ნ. მ. დოლაბერიძემ (ქ. ქუთაისის 25-ე საშუალო სკოლა);

14. ი. მ. ჟვანიამ (თეთრიწყაროს სკოლა-ინტერნატი);

15. ა. გ. ზარნაძემ (თელავის რაიონი, წინანდალის საშუალო სკოლა);

16. ჩ. ი. აგლაძემ (ამბროლაურის რაიონი, სხვავის საშუალო სკოლა);

17. ე. ე. გვასალიამ (ქ. ქუთაისის მე-11 საშუალო სკოლა);

18. ზ. ა. ენდელაძემ (მაიაკოვსკის რაიონი, ფერსათის საშუალო სკოლა);

19. გ. ლ. ჩხეკვაძემ (მაიაკოვსკის პირველი საშუალო სკოლა);

20. ი. შ. გელაურმა (დიღომის საშუალო სკოლა);

21. ნ. შ. კიკალეიშვილმა (სიღნაღის რაიონი, წნორის საშუალო სკოლა);

22. ზ. მ. თოიძემ (მახარაძის რაიონი, ანასეულის საშუალო სკოლა);

23. დ. ს. მამინაიშვილმა (მახარაძის რაიონი, ლიხაურის საშუალო სკოლა);

24. გ. მ. დობორჯგინიძემ (ლანჩხუთის რაიონი, ნიგვზიანის საშუალო სკოლა);

25. ჯ. ვ. გიორგაძემ (ვანის საშუალო სკოლა);

26. ლ. შ. კობიძემ (ჩოხატაურის რაიონი, ერკეთის საშუალო სკოლა);

27. ზ. ა. მელაშვილმა (ზუგდიდის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლა);

28. გ. გ. ჩუბინიძემ (ბორჯომის პირველი საშუალო სკოლა);

26. ჯ. ვ. სიხარულიძემ (მახარაძის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლა);

30. მ. ლ. გურგენიძემ (ზუგდიდის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლა);

31. ნ. კ. სილაქაძემ (ქ. თბილისის №-5 საშუალო სკოლა);

32. ზ. პ. კოხრეიძემ (სამტრედიის რაიონი, იანეთის საშუალო სკოლა;

ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში:

1. უ. ა. კიკაჩეიშვილმა (ქ. თბილისის 85-ე საშუალო სკოლა);

2. რ. ი. რეკვავამ (ცხაკაიას რაიონი, თეკლარის საშუალო სკოლა);

3. ნ. გ. ერისთავმა (ორჯონიკიძის რაიონი, კიცხის საშუალო სკოლა);

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში:

1. ლ. ვ. კობახიძემ (ბორჯომის პირველი საშუალო სკოლა);

2. ლ. შ. ჭილაძემ (საჩხერის რაიონი, ჩიხის საშუალო სკოლა);

4. ი. ა. კინწურაშვილმა (ცხაკაიას პირველი საშუალო სკოლა);

5. ი. ზ. ადუაშვილმა (კაჭრეთის რაიონი, ყანდაურის საშუალო სკოლა);

6. ლ. ე. გოცირიძემ (მცხეთის რაიონი, გალავნის საშუალო სკოლა);

7. ი. რ. ჭავჭავაძემ (ქ. თბილისის 22-ე საშუალო სკოლა);

8. ც. ვ. ყაჭეიშვილმა (ჩოხატაურის საშუალო სკოლა);

9. ნ. დ. თორთლაძემ (ქუთაისის რაიონი, კვახჭირის საშუალო სკოლა).

პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში:

1. დ. ხ. ციცხვაიამ (საგარეჯოს რაიონი, გომბორის საშუალო სკოლა);

2. ე. მ. ჯაბრიელოვამ (ქ. თბილისის 33-ე საშუალო სკოლა);

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში:

1. მ. ა. ბელქანიამ (წალენჯიხის რაიონი, მიქავას საშუალო სკოლა);

2. გ. ს. ლოსუფრიშვილმა (დუშეთის რაიონი, ბარისახოს სკოლა-ინტერნატი);

3. ნ. ვ. იოსავამ (ხობის რაიონი, ბიის საშუალო სკოლა);

4. რ. ხელიძემ (ვანის რაიონი, ისრითის საშუალო სკოლა);

5. მ. ჭ. შარაშიძემ (ჩოხატაურის რაიონი, დაბლაციხის საშუალო სკოლა).

ქ. ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში:

1. ი. ი. ლომიძემ (ყვარელის რაიონი, ახალციხის საშუალო სკოლა);

2. ნ. ა. სულაქველიძემ (ზესტაფონის რაიონი, პირველი სვირის საშუალო სკოლა;

3. ვ. პ. ბასილაიამ (გეგეჭკორის რაიონი, სალხინოს საშუალო სკოლა);

4. დ. მ. შარაშენიძემ (ქ. ქუთაისის მე-12 საშუალო სკოლა);

5. ზ. შ. ბურჭულაძემ, ჯ. დ. გაგუამ და ჯ. დ. ჯინჭარაძემ, მახარაძის პირველი საშუალო სკოლა);

6. ლ. ა. შარაშენიძემ (ვანის საშუალო სკოლა);

7. ლ. შ. ესებუამ (წულუკიძის პირველი საშუალო სკოლა);

ფიზიკაში:

კიროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში:

1. ზ. ვ. წვერავამ (ამბროლაურის მეორე საშუალო სკოლა);

2. რ. ა. აზარიანმა (ქ. თბილისის 33-ე საშუალო სკოლა);

3. ა. ნ. ადეიშვილმა (თელავის მესამე საშუალო სკოლა);

4. ნ. ს. ფუტკარაძემ (ზესტაფონის მეოთხე საშუალო სკოლა);

5. ლ. ი. დოლიძემ (ჩოხატაურის რაიონი, დაბლაციხის საშუალო სკოლა);

6. ლ. ნ. კოზმავამ (ზუგდიდის მე-6 საშუალო სკოლა);

7. დ. გ. ბესელიამ (ცხაკაიას რაიონი, ნოსირის საშუალო სკოლა);

8. გ. ს. გელენიძემ (ქ. თბილისის 87-ე საშუალო სკოლა);

9. ვ. ი. ქაჯაიამ (ქ. თბილისის 61-ე საშუალო სკოლა);

10. რ. გ. მელაძემ (ქ. თბილისის მე-12 საშუალო სკოლა);

11. რ. მ. ლეჟავამ (ამბროლაურის რაიონი, სადმელის საშუალო სკოლა);

12. შ. შ. სარიშვილმა (მახარაძის მეორე საშუალო სკოლა);

13. გ. ვ. ყაველაშვილმა (საჩხერის მეორე საშუალო სკოლა);

14. თ. გ. ხორავამ (ფოთის პირველი საშუალო სკოლა);

15. ზ. ა. მამალაძემ (ჩოხატაურის რაიონი, ხევის საშუალო სკოლა);

16. მ. ი. რობაქიძემ (ტყიბულის პირველი საშუალო სკოლა);

17. მ. ი. აშაძემ (ასმეტის რაიონი, ალვანის საშუალო სკოლაა);

18. ლ. მ. იზრაელაშვილმა (ქ. თბილისის 54-ე საშუალო სკოლა);
16. გ. ა. ლებანიძემ (ქ. თბილისის 36-ე საშუალო სკოლა);
20. ა. კ. მათითაშვილმა (ქ. თბილისის 42-ე საშუალო სკოლა);
21. დ. ი. შენგელიამ (წალენჯიხის საშუალო სკოლა);
22. თ. ს. შეშელიძემ (ქ. თბილისის 53-ე საშუალო სკოლა);
23. ი. ა. ბარამიძემ (ქ. წულუკიძის პირველი საშუალო სკოლა);
24. ბ. ი. მაღლაფერიძემ (ქ. თბილისის 24-ე საშუალო სკოლა);

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში:

1. ვ. ა. ბექაურმა (თიანეთის რაიონი, სიმონიანთხევის საშუალო სკოლა);
2. მ. ა. ბაქბუზიანმა (ქ. თბილისის მე-8 საშუალო სკოლა);
3. ლ. ი. დანელიამ (ქ. თბილისის მე-12 საშუალო სკოლა);
4. ე. პ. ცანიანძა (ქ. თბილისის 33-ე საშუალო სკოლა);
5. ა. ი. ესაკიამ (ზუგდიდის რაიონი, ნარაზენის საშუალო სკოლა);
6. ს. ს. მირიანაშვილმა (ყვარელის რაიონი, შილდის საშუალო სკოლა);
7. ზ. ვ. სამუშიამ (წალენჯიხის რაიონი, ლიის საშუალო სკოლა);

ქ. ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში:

1. დ. შ. ლორთქიფანიძემ (ქ. ქუთაისის მე-7 საშუალო სკოლა);
2. უ. დ. თხილაიშვილმა (მახარაძის რაიონი, ბახვის საშუალო სკოლა);
3. ლ. მ. შავიშვილმა (მახარაძის რაიონი, ანასეულის საშუალო სკოლა);

პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში:

1. ა. ს. ბაგდიშვილმა (ქ. თბილისის 28-ე საშუალო სკოლა);
2. ა. ნ. ორლოვმა (ქ. თბილისის მე-11 საშუალო სკოლა);
3. ვ. ს. ჟელეზნიაკოვამ (ზუგდიდის მე-6 საშუალო სკოლა).

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში:

1. ჰ. ვ. ტაბატაძემ (ქ. თბილისის 84-ე საშუალო სკოლა);

გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში:

1. ი. ვ. გიკაშვილმა (ხაშურის რაიონი, გომის საშუალო სკოლა);

ქიმიაში:

კიროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში:

1. მ. ს. ხუციშვილმა და ლ. თ. ბესიაშვილმა (კასპის საშუალო სკოლა);

2. მ. პ. ურიდიამ (ქ. თბილისის 85-ე საშუალო სკოლა)

3. ლ. შ. გორულიშვილმა (სიღნაღის პირველი საშუალო სკოლა);

4. თ. გ. ბარაბაძემ (წულუკიძის რაიონი, მათხოჯის საშუალო სკოლა);

5. ლ. ბ. ზურაბოვმა (თელავის პირველი საშუალო სკოლა);

6. ნ. ნ. არჯევანიძემ (სამტრედიის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლა);

7. ც. ნ. კევლიშვილმა (ამბროლაურის პირველი საშუალო სკოლა);

8. ლ. ჭ. ძნელაძემ (ბორჯომის რაიონი, დვირის საშუალო სკოლა);

9. ვ. ვ. მელქაძემ (სამტრედიის რაიონი, ღანირის საშუალო სკოლა);

10. თ. ს. მეტრეველმა (ონის რაიონი, უწერის საშუალო სკოლა);

11. ბ. გ. მჭედლიშვილმა (ყვარელის რაიონი, შილდის საშუალო სკოლა);

12. ც. ი. ბაჭიაშვილმა (ახმეტის რაიონი, აწყურის საშუალო სკოლა);

13. ი. ა. მოლარიშვილმა (მახარაძის პირველი საშუალო სკოლა);

14. რ. ნ. ფარანგიშვილმა (სამტრედიის რაიონი, ღანირის საშუალო სკოლა);

15. ვ. ა. ჩიტაიშვილმა (ლანჩხუთის რაიონი, სუფსის საშუალო სკოლა)

16. ა. ი. სიხარულიძემ (ჩოხატაურის პირველი საშუალო სკოლა);

17. ლ. ვ. ღვამიჩავამ (ფოთის მეორე საშუალო სკოლა);

18. ე. ვ. გორგაძემ (ზესტაფონის რაიონი, ძირულის საშუალო სკოლა);

19. დ. ბ. ცაგარეიშვილმა (წულუკიძის პირველი საშუალო სკოლა);

20. ნ. რ. ბაქრაძემ (თელავის მეოთხე საშუალო სკოლა);

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში:

1. ნ. ი. ტრაპაიძემ (მახარაძის პირველი საშუალო სკოლა);

2. ლ. მ. ძიძიგურმა (ქარელის რაიონი, ავლევის საშუალო სკოლა);

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში:

1. დ. ა. ჩახჩიბაძემ (მახარაძის რაიონი, მერიის საშუალო სკოლა);

საქართველოს ზოოვეტერინალურ ინსტიტუტში:

1. ნ. დ. რჩეულიშვილმა (გორის რაიონი, ქვეშის საშუალო სკოლა);

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში:

2. გ. პ. წინწკალაძემ (ახპინძის რაიონი, ტოლოშის საშუალო სკოლა);

2. ნ. ი. ჭიკაიძემ (დუშეთის პირველი საშუალო სკოლა);

3. გ. რ. თედორაძემ და ლ. პ. კორძაძემ (ვანის საშუალო სკოლა);

4. ბ. მ. ზედგინიძემ (ახალქალაქის საშუალო სკოლა);

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო გერმანულ ენაში მახარაძის პირველი საშუალო სკოლის ვერცხლის მედალოსანმა ჯ. ვ. ტუღუშმა.

განსაკუთრებით სუსტი მომზადება გამოამჟღავნეს უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდებზე:

მახარაძის რაიონიდან (განათლების განყოფილების გაგგე ხ. ხავთასი) 14 მედალოსანმა, მათ შორის, მახარაძის პირველი სკოლიდან (დირექტორი გ. კალანდარიშვილი) 6 მედალოსანმა.

ამბროლაურის რაიონიდან განათლების განყოფილების გამგე ა. ზალკალიანი) 6 მედალოსანმა, ჩოხატაურის რაიონიდან (განათლების განყოფილების გამგე გ. კალანდაძე) 8 მედალოსანმა.

ვანის რაიონიდან (განათლების განყოფილების გაგგე გ. ძაგნიძე) 7 მედალოსანმა. მათ შორის ვანის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ა. ნადირაძე) 5 მედალოსანმა.

წალენჯიხის რაიონიდან (გამგე ვ. ბელქანია) 6 მედალოსანმა.

წულუკიძის პირველი საშუალო სკოლიდან (დირექტორი ვ. ქობალია) 3 მედალოსანმა.

ზემოდ დასახელებული მედალოსნების დაბალი მომზადება მეტყველებს განათლების ადგილობრივი ორგანოებისა და სკოლების უპასუხისმგებლო მუშაობაზე, რის გამო ზოგიერთმა კურსდამთავრებულმა დაუმსახურებლად მიიღო მედალი.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაუქმდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის დადგენილება ლ. ა. ცხვარაძის, გ. ვ. ხმალაძის, ი. ი. აბდულაევის, ს. გ. თეთრუაშვილის, ნ. მ. სარჯველაძის, ზ. ვ. პატარაიას, ნ. გ. სამუშიას, პ. ი. გურგენიძის, მ. გ. პავლაძის, ტ. ს. პაჭკორიას, ჟ. ვ. შამუგიას, ი. პ. საჯაიას, მ. ნ. გიორგობიანის, დ. ი. სიხარულიძის, ნ. გ. ტოროტაძის, ა. ა. მახარაძის მედლებით დაჯილდოების შესახებ და ზემოაღნიშნულ კურსდამთავრებულებს მიეცეთ ჩვეულებრივი ნიმუშის სიმწიფის ატესტატები.

2. ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის და მათემატიკის სწავლების ცუდად დაყენებისა და მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საქმეში შეუწყნარებელი ლიბერალიზმის გამოჩენისათვის გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური:

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს ქ. სტეფანიშვილს (ახალციხის საშუალო სკოლა), ნ. მიქაძეს (თელავის რაიონი, ქვემო ხოდაშენის საშუალო სკოლა), ლ. მ. ჟამუტაშვილს (დუშეთის რაიონი, არანინისის საშუალო სკოლა), ზ. მ. გეგეჭკორს (ჩოხატაურის რაიონი, ერკეთის საშუალო სკოლა), ს. ა. ჩხაიძეს (ლანჩხუთის პირველი საშუალო სკოლა), კ. ო. სამუშიას (წალენჯიხის რაიონი, ლიის საშუალო სკოლა); რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს: ი. მაჭავარიანს (ჩოხატაურის რაიონი, ბუკისციხის საშუალო სკოლა), დ. გ. მარგველაშვილს (ხაშურის რაიონი, ქვიშხეთის საშულო სკოლა), პ. ი. ყუფუნიას (ზუგდიდის რაიონი, ჭითაწყარის საშუალო სკოლა), მ. ე. ჭანტურიას (წალენჯიხის რაიონი ჭალის საშუალო სკოლა), თ. შ. კიზირიას (ცხაკაიას რაიონი, თეკლათის საშუალო სკოლა, მათემატიკის მასწავლებლებს: ვ. ა. ჯღამაძეს (ქ. ქუთაისის ძე-6 საშუალო სკოლა), ე. ა. გოგელიას (ჩოხატაურის რაიონი, ბუკისციხის საშუალო სკოლა), თ. ლ. ხუხუნაიშვილს (ლანჩხუთის რაიონი, ნიგოითის საშუალო სკოლა), ა. ა. ერქომაიშვილს (ჩოხატაურის რაიონი, ვანზომლეთის საშუალო სკოლა).

3 მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საქმისადმი უპასუხისმგებლო დაბოკიდებულებისა და გამოცდებზე საჭირო კონტროლის განუხორციელებლობისათვის გამოეცხადოს საყვედური ახალციხის საშუალო სკოლის დირექტორს ქ. ვ. ცაგარეიშვილს, თელავის რაიონის ქვემო ხოდაშნის საშუალო სკოლის დირექტორს ს. ტყემალაძეს, დუშეთის რაიონის არანისის საშუალო სკოლის დირექტორს დ. თეთრუაშვილს, ჩოხატაურის რაიონის ერკეთის საშუალო სკოლის დირექტორს

ფ. როინიშვილს, ლანჩხუთის პირველი საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს მ. მოისწრაფიშვილს, ჩოხატაურის რაიონის ბუკისცოხის საშუალო სკოლის დირექტორს ა. სიხარულიძეს, ხაშურის რაიონის ქვიშხეთის საშუალო სკოლის დირექტორს გ. მანჩხაშვილს, წალენჯიხის რაიონის ჭალეს საშუალო სკოლის დირექტორს ვ. აქუბარდიას, ცხაკაიას რაიონის თეკლათის საშუალო სკოლის დირექტორს ვ. მაქაცარიას, ლანჩხუთის რაიონის ნიგოითის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს დ. ჩხაიძეს, ჩოხატაურის რაიონის ვანზომლეთის საშუალო სკოლის დირექტორს ვ. დარჩიას, მახარაძის პირველი საშუალო სკოლის დირექტორს გ. კალანდარიშვილს, ვანის საშუალო სკოლის დირექტორს ა. ნადირაძეს, სასწავლო ნაწილის გამგეს მ. მესხს და წულუკიძის პირველი საშუალო სკოლის დირექტორს ვ. ქობალიას.

4. სკოლების მუშაობაზე სათანადო კონტროლის განუხორციელებლობისათვის მიეთითოთ მახარაძის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ხ. ხავთასს, ამბროლაურის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ა. ზალკალიანს, ჩოხატაურის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს გ. კალანდაძეს, ვანის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს გ. ძაგნიძეს, წალენჯიხის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ვ. ბელქანიას.

5. განათლების განყოფილებათა გამგეებმა საჭირო კონტროლი განახორციელონ ბრძანებაში აღნიშნულ სკოლების ხელმძღვანელებისა და ასწავლებლების მუშაობაზე, საფუძვლიანად შეისწავლონ ამ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა და გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი სწავლების ხარისხის არსებითად გაუმჯობესებისათვის.

6. განათლების განყოფილებათა გამგეებმა უზრუნველყონ აღნიშნულ პირთა სახელზე გაცემული ოქროსა და ვერცხლის მედლების ატესტატების დაბრუნება განათლების სამინისტროში და მათ ნაცვლად ჩვეულებრივი სახის ატესტატების მიღება და გაცემა.

7. ბრძანების ტექსტი გამოქვეყნდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1958 წლის 24 ოქტომბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მ ო ა დ გ ი ლ ე მ. ბურჭულაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

№ 1386

1958 წლის 31 ოქტომბერი

1958 წლის მესამე კვარტალში საბავშვო სახლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

მიმდინარე წლის მესამე კვარტალში საბავშვო სახლების, სპეც სკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილების მიერ შემოწმებულია სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა კარდანახის, ვაკის, ონის, ჩოხატაურის, საჩხერის და ლენინგორის საბავშვო სახლებში: დოკუმენტური რევიზია—ონის, ჩოხატაურის, ვაკის, საჩხერის, განთიადის და კოჯრის № 6 საბავშვო სახლებში. მოულოდნელი რევიზია—კარდანახის, რუსთავის და ლენინგორის საბავშვო სახლებში.

კარდანახის საბავშვო სახლის მუშაობის შემოწმების შედეგები განხილულია კოლეგიის მიერ და გატარებულია სათანადო ღონისძიებანი. ხოლო ვაკის საბავშვო სახლის მუშაობის შემოწმების მასალები გადაეცა ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებს სათანადო ზომების მისაღებად.

საბავშვო სახლების მუშაობის ერთგვარი გაუმჯობესების მიუხედავად, ზოგიერთ საბავშვო სახლში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა ჯერ კიდევ დაბალ დონეზეა დაყენებული. ჩოხატაურის და საჩხერის საბავშვო სახლების აღსაზრდელთა უმრავლესობა სამებზე სწავლობს. აღსაზრდელები არ არიან უზრუნველყოფილი დიდაქტიკური ხელსაწყო-იარაღებით და სხვა თვალსაჩინო მასალებით.

საჩხერის საბავშვო სახლის კარმიდამო არ არის მოწესრიგებული. მიწის ნაკვეთი დაუმუშავებელია, ვაზი მოუვლელია. საბავშვო სახლზე არ არის მიმაგრებული ექიმი.

ონის საბავშვო სახლის სადურგლო სახელოსნოში არ არის საკმაო რაოდენობის იარაღ-მოწყობილობა.

ლენინგორის საბავშვო სახლის პროდუქტების საწყობში ანტი-სანიტარული მდგომარეობაა.

ჩოხატაურის, საჩხერის და ლენინგორის საბავშვო სახლების მზრუნველთა საბჭოები უმოქმედებას იჩენენ.

ლენინგორის, საჩხერისა და ჩოხატაურის საბავშვო სახლების საშეფო ორგანიზაციები საბავშვო სახლებს არ უწევენ შესაფერის დახმარებას.

იმის გამო, რომ საბავშვო სახლები ვერ მარაგდებიან დაწესებული ნორმისა და ასორტიმენტის კვების პროდუქტებით, მოუწესრიგებელია აღსაზრდელთა კვების საქმე. საჭმელები ხშირად ერთფეროვანი და უგემური მზადდება.

ონის საბავშვო სახლის აღსაზრდელებს მიმდინარე წლის 6 თვეში დააკლდათ: ხორცი 334 კილოგრამი, შაქარი 130 კილოგრამი, რძე 1376 ლიტრი, კარტოფილი 1504 კილოგრამი და სხვ. ჩოხატაურის საბავშვო სახლის აღსაზრდელებს—ხორცი 899 კილოგრამი, კარაქი 124 კილოგრამი, კვერცხი 30.4 ცალი, რძე 2411 ლიტრი, კარტოფილი 3303 კილოგრამი და ბოსტნეული 2477 კილოგრამი.

საჩხერის საბავშვო სახლის აღსაზრდელებს დააკლდათ ხორცი 516 კილოგრამი. კვერცხი 2698 ცალი, რძე 3185 ლიტრი, კარტოფილი 3019 კილოგრამი, ბოსტნეული 2270 კილოგრამი.

ამრიგად, არ სრულდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 2 დეკემბრის № 655 დადგენილება—აღსაზრდელთა კვების პროდუქტებით მომარაგების შესახებ. მომმარაგებელი ორგანიზაციები ვერ უზრუნველყოფენ საბავშვო სახლების მომარაგებას დაწესებული ნორმის ფარგლებში.

1958 წლის ბიუჯეტი ნორმალურად არ სრულდება ონის, განთიადის, საჩხერის, ჩოხატაურის და კოჯრის № 6 საბავშვო სახლებში. ჯერ კიდევ ადგილი აქვს თანხების როგორც გადახარჯვას, ისე აუთვისებლობას.

სერიოზული დარღვევებია საჩხერის და ჩოხატაურის საბავშვო სახლებში. ჩოხატაურის საბავშვო სახლი ხშირად აწარმოებს რაიკავშირიდან რბილი ინვენტარის შეძენას. ზემოაღნიშნული საბავშვო სახლების დირექტორები ბაზარზე იძენენ სხვადასხვა პროდუქტებსა და ხორცს მაღალ ფასებში (შეძენილია კილოგრამი ლობიო 10—12 მანეთად. ხახვი 13 მანეთად, ნიორი 20 მანეთად, ხორცი 16—20 მანეთად და სხვ.

საჩხერის საბავშვო სახლში ადგილი აქვს საგრძნობ დებიტორულ დავალიანებებს. აღრიცხვა-ანგარიშგება არ არის აყვანილი.

არ არის გატარებული ივლისისა და აგვისტოს საბუხჰალტრო საბუთები. სხვადასხვა ფასეულობის მიღების დროს არ იწერება შემოსავლის ფაქტურები. ხორცის ნაყიდობის აქტებსა და ანგარიშებში ზოგჯერ არ არის დაწერილი საქონლის ცოცხალი წონა. ხორცის ნაყიდობის ანგარიშები არ არის შემოწმებული სასოფლო საბჭოს მიერ. ცოცხალი საქონლიდან ხორცის გამოსავლიანობა ნაჩვენებია ძალიან მცირე, ასე მაგალითად, 1958 წელს მემორიალური ორდერით № 5 რაიკავშირიდან მიღებულია საქონელი ცოცხალი წონის 105 კილოგრამი. ხორცის სუფთა წონა სამეურნეო კომისიის აქტში ნაჩვენებია 40 კილოგრამი. ბუხჰალტრის მიერ მიღებული და ჩამოწერილია სამნეო ნაწილის გამგის პირადი ანგარიშიდან გაუფორმებელი საბუთებით მნიშვნელოვანი თანხები ადგილზე შეკერილ რბილ ინვენტარზე არ არის გამოწერილი შემოსავლის ფაქტურები. პროდუქტების ხარჯვის უწყისებს ხელს არ აწერენ მატერიალურად პასუხისმგებელი პირები.

განთიადის საბავშვო სახლის ფულის ჩეკის ყუების ყველა რეკვიზიტი არ არის შევსებული. შემოსავლისა და გასავლის ფაქტურები, აგრეთვე მენიუ არ იწერება დადგენილი რაოდენობით.

ჩოხატაურის, საჩხერისა და განთიადის საბავშვო სახლების სამეურნეო კომისიები არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ. ამ საბავშვო სახლებში პროდუქტების, რბილი და მაგარი ინვენტარის აღწერები არ ტარდება დადგენილი ვადების მიხედვით. ჩოხატაურის, საჩხერის, განთიადის და კოჯრის № 6 საბავშვო სახლში ადგილი აქვს ფეხსაცმელების ნორმაზე მეტი რაოდენობით ჩამოწერის შემთხვევებს. მომწოდებელი ორგანიზაციიდან მიღებულ საქონელზე არ იწერება შემოსავლის ფაქტურა, არტიკულებისა და ნომრების მიხედვით. პასუხისმგებელი მორიგეების მიერ ზოგჯერ არ არის შედგენილი პროდუქტების ქვაბში ჩაშვების აქტები.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს საბავშვო სახლის დირექტორებს:

ა) 1958 წლის 25 ნოემბრამდე უზრუნველყონ ამ ბრძანებასა და ნარკვევ მასალებში აღნიშნულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაცია;

ბ) მიაღწიონ აღსაზრდელთა აკადემიური მოსწრების ამაღლებას;

გ) მკაცრი კონტროლი დააწესონ აღსაზრდელთა და მომსახურე პერსონალის პირადი ჰიგიენის მოწესრიგების საქმეზე;

დ) მიიღონ საჭირო ზომები და გააუმჯობესონ აღსაზრდელთა კვების ხარისხი;

ე) ყოველდღიურად მიაქციონ ყურადღება აღსაზრდელთა ჩაცმა-დახურვის საქმეს. დანერგონ ბავშვებში ტანსაცმელ-ფეხსაცმელის მოვლის ჩვევები:

ვ) მზრუნველთა საბჭოების და საშეფო ორგანიზაციების უმოქმედობის საკითხი დააყენონ ადგილობრივი ხელმძღვანელობის წინაშე;

ზ) უზრუნველჰყონ არასწორად და ზედმეტად გაცემული თანხების ამოღება ა/წ 15 ნოემბრამდე. აღკვეთონ სამნეო ნაწილის გამგეებიდან გაუფორმებელი საბუთების მიღება;

თ) არ დაუშვან თანხების გადახარჯვა ან აუთვისებლობა;

2. სამეურნეო-საფინანსო საქმიანობაში სერიოზული დარღვევების დაშვებისა და საბავშვო სახლის მუშაობაზე სუსტი ხელმძღვანელობისათვის საჩხერის საბავშვო სახლის დირექტორს გ. ხვედელიძეს გამოეცხადოს საყვედური;

დაევალოს მასვე გაათავისუფლოს სამუშაოდან დროებით მომუშავე ბუხჰალტერი ნ. გომართელი ანგარიშწარმოების ჩაშლისათვის, ხოლო ბუხჰალტერ მ. მაჭავარიანს სამუშაოზე გამოსვლის შემდეგ დაადოს მკაცრი ადმინისტრაციული სასჯელი და თუ ის არ გააუმჯობესებს მუშაობას მოხსნას სამუშაოდან.

4. საბავშვო სახლის საქმიანობაზე სუსტი ხელმძღვანელობისა და საფინანსო საქმიანობაში დარღვევების დაშვებისათვის გამოეცხადოს საყვედური ჩოხატაურის საბავშვო სახლის დირექტორს ე. კუტუბიძეს.

5. საფინანსო საქმიანობაში დარღვევების დაშვებისათვის გამოეცხადოს საყვედური ჩოხატაურის საბავშვო სახლის ბუხჰალტერს ა. გოგოლაძეს.

6. დაევალოს განათლების სამინისტროს მომარაგების განყოფილებას (უფროსი ამხ. ს. არველაძე) მიიღოს გადამჭრელი ზომები საბავშვო სახლების მომარაგების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად. ნორმით გათვალისწინებული პროდუქტების მიუღებლობის შესახებ საკითხი [illegible] 1 ნ[illegible]ადგენილი ორგანოების წინაშე.

საფუძველი: [illegible]ოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1958 წლის [illegible]ემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **მ. ბურჭულაძე.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

№ 1395

1958 წლის 1 ნოემბერი

ნორჩ მათემატიკოსთა მეორე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგებისა და მესამე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ

გავეცანი რა ნორჩ მათემატიკოსთა II რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგებს, აღვნიშნავ, რომ 1957—58 სასწავლო წელს ჩატარებულმა ოლიმპიადამ ხელი შეუწყო მოსწავლე ახალგაზრდობის მათემატიკური კულტურის ამაღლებას, სკოლებში მათემატიკის სწავლების გაუმჯობესებას, საგნის ღრმად შესწავლის ინტერესის გაძლიერებას და სასკოლო წრეების მუშაობის გამოცოცხლებას.

მეორე რესპუბლიკურ ოლიმპიადაში მონაწილეობა მიიღო თბილისის სკოლებიდან 1200 მოსწავლემ, ქ ქუთაისიდან 465, სოხუმიდან 390, ბათუმიდან 227, სტალინირიდან 86, ფოთიდან 77, რუსთავიდან 98, თელავიდან 45, ჭიათურიდან 60, გორიდან 13, ზესტაფონიდან 40, ტყიბულიდან 41, ტყვარჩელიდან 80, ზუგდიდიდან 41, ახალციხიდან 81, სამტრედიიდან 67 და გურჯაანიდან 45 მოსწავლემ.

სულ პირველ ტურში მონაწილეობა [illegible], მეორე ტურში 979, ხოლო უკანასკნელ, მესამე ტურში [illegible] მოსწავლემ.

ქ. თბილისის სკოლების უმრავლესობა [illegible] მავიდანვე აქტიურად ჩაება ოლიმპიადისათვის მზადების საქმეში. ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარეს კალინინის, ორჯონიკიძის, კიროვის და ოქტომბრის რაიონის განათლების განყოფილებებმა, რესპუბლიკის ბევრი სხვა ქალაქის და რაიონის სკოლებმა და ადგილობრივმა საორგანიზაციო კომიტეტებმა (ქუთაისი, ბათუმი, სტალინირი, თელავი, რუსთავი, სოხუმი). მათ დროულად გაშალეს მოსამზადებელი მუშაობა

სკოლებში მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის. მოსწავლეთათვის ადგილობრივი ძალებით ჩაატარეს ლექცია-მოხსენებები, ტიპიურ ამოცანებზე ვარჯიში და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ სკოლების ერთი ნაწილი სათანადო ყურადღებით ვერ მოეკიდა ამ ნნიშვნელოვან ღონისძიებას. უპირველეს ყოვლისა ეს ითქმის ქ. თბილისის მე-5, მე-4, მე-9, 22-ე, 25-ე, 26-ე, 27-ე, 32-ე, 39-ე, 45-ე, 52-ე, 55-ე, 54 ე, 82-ე, 83-ე, 87 ე, 89-ე, 90-ე, 99-ე სკოლების შესახებ.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ოლიმპიადაში წარმატების მოპოვებისათვის დაჯილდოებულ იქნენ პირველი ხარისხის სიგელით მოსწავლეები:

1. ჭანტურია თემური (თბილისის 1 საშ. სკოლა)
2. ფურცელაძე ზურაბ (თბილისის 29-ე საშ. სკოლა)

მეორე ხარისხის სიგელით

1. კასრაძე დარბი (თბილისის 29-ე საშ. სკოლა)
2. გელაშვილი მირზა (რუსთავის მე-7 საშ. სკოლა)
3. ნანჯგალაძე ვახტანგი (თბილისის 27-ე საშ. სკოლა)
4. ურუშაძე გიული (თბილისის 51-ე საშ. სკოლა)
5. ჩიჩუა გენრიეტა (ფოთის 1 საშ. სკოლა)
6. ჩაგუნავა მედეია (თბილისის 61-ვ საშ. სკოლა)
7. უგულავა დუგლასი (ქუთაისის 1 საშ. სკოლა)
8. რამიშვილი ვაჟა (თბილისის 56-ე საშ. სკოლა)
9. ხუბერიანი ბორისი (თბილისის 43-ე საშ. სკოლა)

2. ნორჩ მათემატიკოსთა ოლიმპიადის წარმატებით ჩატარებისათვის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მათემატიკის კაბინეტის გამგე ამბ. გრიგოლ ჯაფარიძე დაჯილდოებულ იქნეს განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა-პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საპატიო სიგელით.

3. 1958 წლის 1 ნოემბრიდან 1959 წლის 20 მაისამდე ჩატარდეს ნორჩ მათემატიკოსთა მესამე რესპუბლიკური ოლიმპიადა. ოლიმპიადის პირველი ტური ჩატარდეს 5 აპრილს, მეორე ტური 26 აპრილს, ხოლო ნესამე—17 მაისს.

4. ოლიმპიადა ჩატარდეს შემდეგ ქალაქებში: თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, სტალინიოში, ფოთში, რუსთავში, თელავში, ჭიათურაში, გორში, ზესტაფონში, ტყიბულში, ტყვარჩელში, ზუგდიდში, მახარაძეში, ხაშურსა და გურჯაანში.

5. ოლიმპიადის ხელმძღვანელობისათვის დამტკიცდეს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

1. ვლ. ჭელიძე — სახ. უნივერსიტეტის პროფესორი (თავმჯდომარე);
2. ა. ხარაძე — სახ. უნივერსიტეტის პროფესორი;
3. გრ. ჯაფარიძე — პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მათემატიკის კაბინეტის გამგე (თავმჯდომარის მოადგილე);
4. მ. მგელაძე — (საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი სკოლის დარგში);
5. შ. ბერიანიძე — (პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დირექტორი);
6. დოც. ს. ლომჟარია (კიროვის სახ. პოლიტექ. ინსტიტუტი);
7. დოც. პ. ზერაგია — (სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი);
8. დოც. ი. მეცხვარიშვილი — პუშკინის სახელობის პედ. ინსტიტუტის მათემატიკის კათედრის გამგე;
9. ე. სმირნოვი — (რკინიგზის სასკოლო განყოფილების უფროსი);
10. მ. ბებურიშვილი — განათლების სამინისტროს ინსპექტორი);
11. ტ. ტყემალაძე — (განათლების სამინისტროს ინსპექტორი);
12. შ. იაშვილი — (პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის მეცნიერმუშაკი);
13. ი. შტეინბერგი — (მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მათემატიკის კაბინეტის გამგე);
14. გრ. ლორთქიფანიძე — (თბილისის განათლების განყოფილების პედკაბინეტის მეთოდისტი);
15. ნ. კიკვიძე — (ქ. თბილისის 1-ლი საშუალო სკოლის დირექტორი).
16. რ. არუბჯანიანი — (ქ. თბილისის 92-ე საშ. სკოლის მათემატიკის მასწავლებელი);

6. ნორჩ მათემატიკოსთა რესპუბლიკური ოლიმპიადის დებულება დამტკიცდეს (თან ერთვის);

7. დასახელებული ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა ფართოდ გააცნონ მათემატიკის მასწავლებლებს ნორჩ მათემატიკოსთა მესამე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების დებულება და უზრუნველჰყონ ოლიმპიადაში მოსწავლეთა ფართო მონაწილეობა.

8. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე) 1959 წლისათვის გაითვალისწინოს პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ბიუჯეტში ნორჩ მათემატიკოსთა ოლიმპიადის ჩატარებისათვის საჭირო თანხა.

9. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა განყოფილებამ (ამხ. ს. არველაძე) პიონერთა სასახლეს გამოუყოს ოლიმპიადისათვის საჭიროებული ღალდი.

10. გაზ. „სახალხო განათლების" რედაქციამ (ამხ. გ. საჯაია) პერიოდულად მიაწოდოს მკითხველს მასალები ოლიმპიადის შესახებ.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე—მ. ბურჭულაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲜᲝᲠᲩ ᲛᲐᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲝᲡᲗᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

1. ქალაქ თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე და სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი 1959 წლის 5 აპრილიდან 17 მაისამდე ატარებენ ნორჩ მათემატიკოსთა მესამე რესპუბლიკურ ოლიმპიადას.

2. ოლიმპიადა მიზნად ისახავს გააღრმაოს მოსწავლეთა მიერ სკოლაში მიღებული ცოდნა მათემატიკაში, გამოავლინოს ნიჭიერი მოსწავლეები, ხელი შეუწყოს სკოლაში მათემატიკური წრეების მუშაობას, აამაღლოს მოსწავლეთა მათემატიკური კულტურა.

3. ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ შვიდწლიანი და საშუალო სკოლების მე-6, 7, 8, 9 და 10 კლასების მოსწავლეებს, რომელთაც მათემატიკაში აქვთ ნიშანი არა ნაკლებ „ოთხისა“.

4. ოლიმპიადის ხელმძღვანელობისათვის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში იქმნება რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, ხოლო ქალაქებში—ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, სტალინირში, ფოთში, რუსთაკში, გორში, თელავში, ზესტაფონში, ტყიბულში, ზუგდიდში, მახარაძეში, გურჯაანში, ხაშურსა და ტყვარჩელში—ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტები აღნიშნული ქალაქების განათლების განყოფილებების ბრძანებით.

5. რესპუბლიკური ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტები ოლიმპიადაში მონაწილეობის მსურველ მოსწავლეთათვის აწყობენ მეცნიერმუშაკთა და გამოცდილ პედაგოგთა ლექციებს მათთვის საჭირო თემებზე და აწარმოებენ პრაქტიკულ ვარჯიშობას საოლიმპიადო ხასიათის ამოცანებზე. ამ მუშაობას რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი ატარებს თბილისის სკოლების მოსწავ-

ლეთათვის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში, ხოლო ადგილობრივი კომიტეტები—მათ მიერ დანიშნულ პუნქტებში. ლექციების განრიგი ცალკე გაეგზავნება ქალაქების ყველა სკოლას თბილისში—რესპუბლიკური, ხოლო სხვა ქალაქებში ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტების მიერ.

6. რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი ოლიმპიადის მონაწილეთათვის გამოსცემს სავარჯიშო ამოცანების კრებულს, რომელიც დაეგზავნება სკოლებს ორი თვით ადრე ოლიმპიადის ჩატარებამდე.

7. 20 მარტისათვის სკოლები საორგანიზაციო კომიტეტებს უგზავნიან იმ მოსწავლეთა სიას, რომლებიც მონაწილეობენ ოლიმპიადაში.

8. ნორჩ მათემატიკოსთა ოლიმპიადა ტარდება სამ ტურად, სამივე ტური დასწრებულია. პირველი ორი ტური ტარდება ადგილობრივ საორგანიზაციო კომიტეტების მიერ დანიშნულ პუნქტებში, ხოლო მესამე რესპუბლიკური ტური თბილისში, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში.

9. ოლიმპიადაში მონაწილე მოსწავლეებს მიეცემათ სამი ამოცანა. დრო ამოცანების ამოხსნისათვის განსაზღვრულია ოთხი საათით, ყველა ტურისათვის ამოცანებს შეარჩევს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი.

10. I ტური ჩატარდება 5 აპრილს (კვირა დღეს), II ტური 26 აპრილს (კვირა დღეს) მეორე ტურში გამარჯვებული მოსწავლეები მონაწილეობას მიიღებენ მესამე ტურში, რომელიც ტარდება 17 მაისს (კვირა დღეს), ქ. თბილისში პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში. ყოველი ტური იწყება დილის 10 საათზე და მთავრდება 14 საათზე.

11. პირველი და მეორე ტურისათვის დალუქული პაკეტი ამოცანებითა და მაგალითებით დასახელებულ ქალაქებში მიაქვს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის წევრს, რომელიც მიგლინებულია ტურის ჩატარების ხელმძღვანელობისათვის.

12. ტურის ჩატარების დღეს დალუქულ პაკეტს საკლასო ოთახში ოლიმპიდის მონაწილე მოსწავლეთა თანდასწრებით ხსნის ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ან, მისი დავალებით კომიტეტის წევრი.

13. წერითი მუშაობის დამთავრების შემდეგ ოლიმპიადის მონაწილეთა ნაშრომებს ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტიდან იბარებს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომ-ტეტის წარმომადგენელი, რომელიც ნაშრომებს აბარებს რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტს.

14. წერითი ნაშრომების რეცენზირებას ახდენს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი.

ნაშრომები ფასდება ქულებით, თითოეული ამოცანის ამოხსნა-სათვის იწერება 1 ან 2 ქულა იმის მიხედვით, თუ რამდენად რაციონალური გზით არის ამოხსნილი ამოცანა.

15. ოლიმპიადის პირველი ტურის მონაწილენი, რომლებიც მიიღებენ ქულების საკმაო რაოდენობას, არანაკლებ სამი ქულისა 6 შესაძლებლობიდან, დაიშვებიან მეორე ტურზე. ხოლო მესამე ტურზე დაიშვებიან ის მოსწავლეები, რომლებიც მეორე ტურში 6 შესაძლებლობიდან მოაგროვებენ არანაკლებ 5 ქულისა.

16. ოლიმპიადის მეორე და მესამე ტურზე დაშვებულ მოსწავლეთა სიას რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი უგზავნის ადგილობრივ საორგანიზაციო კომიტეტებს პირველი და მეორე ტურის ჩატარებიდან ერთი კვირის განმავლობაში.

17. მეორე ტურში გამარჯვებულ ნორჩ მათემატიკოსებს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი გამოიწვევს თბილისში მესამე ტურში მონაწილეობის მისაღებად.

18. ოლიმპიადაში გამარჯვებულთა სია გადაეგზავნება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დასაჯილდოებლად. ჯილდოების გადაცემა მოხდება საზეიმო ვითარებაში.

ოლიმპიადის რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის მისამართი—ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი № 6, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე, მათემატიკის კაბინეტი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

№ 1422

1958 წლის 11 ნოემბერი.

სწავლებაში სასწავლო კინოს წარმატებით გამოყენების საქმეში ქ. თბილისის მე-14 საშუალო სკოლის გამოცდილების შესახებ

თბილისის მე-14 საშუალო სკოლაში სისტემატურად ტარდება ეკრანიზირებული გაკვეთილები სხვადასხვა დისციპლინაში. 1957/58 სასწავლო წლის განმავლობაში სკოლაში ჩატარდა 637 ეკრანიზირებული გაკვეთილი. ამათგან ფიზიკაში—110 (მასწავლებელი ბ. ქორიძე), ქიმიაში—27 (მასწავლებლები ნ. სიხარულიძე და მ. ბობოყვაშვილი), მანქანათმცოდნეობაში—15 (მასწავლებელი კ. ჭინჭარაძე), რუსულ ლიტერატურაში—35 (მასწავლებელი უჯმაჯურიძე) და სხვ.

ფიზიკის მასწავლებლის ბ. ქორიძის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა სასწავლო კინოაპარატის შემსწავლელთა წრე, რომელშიც გაერთიანდა 13 მასწავლებელი. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან არსებულ საკვალიფიკაციო კომისიას ამ მასწავლებლებმა წარმატებით ჩააბარეს გამოცდები და მიიღეს საკვალიფიკაციო მოწმობები. ამასთანავე, სკოლის მე-7, მე-8, მე-9, მე-10 კლასების მოსწავლეთაგან ყოველწლიურად მზადდება „ნორჩი კინომექანიკოსები“, რომლებიც ეხმარებიან მასწავლებლებს ეკრანიზირებული გაკვეთილების ჩატარებაში.

აღნიშნულმა ღონისძიებამ საგრძნობლად გააუმჯობესა სწავლების ხარისხი, გააძლიერა მოსწავლეთა ინტერესი სწავლისადმი და აამაღლა მათი აკადემიური წარმატება.

ამასთან დაკავშირებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა, გაზეთ „სახალხო განათლებისა“ და ჟურნალ „კომუნისტური აღზრდისათვის“ რედაქციებმა მოახდინონ თბილისის მე-14 საშუალო სკოლის ამ მოწინავე გამოცდილების ფართო პოპულარიზაცია.

2. სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა გაატარონ სათანადო ღონისძიებანი სწავლებაში სასწავლო კინოს წარმატებით გამოყენების უზრუნველსაყოფად.

3. სასკოლო მუშაობაში კინოფილმების წარმატებით გამოყენებისა და სკოლაში კინოდემონსტრატორთა კადრების მომზადების საქმეში ნაყოფიერი მუშაობისათვის ქ. თბილისის მე-14 საშუალო სკოლის დირექტორს გ. ცქიტიშვილსა და ფიზიკის მასწავლებელს ბ. ქორიძეს გამოეცხადოთ მადლობა.

4. სწავლებაში სასწავლო კინოს წარმატებით გამოყენების და კინოდემონსტრატორთა მომზადების საქმეში ნაყოფიერი მუშაობისათვის თბილისის მე-14 საშუალო სკოლა დაჯილდოებულ იქნეს ახალი ტიპის სასწავლო კინოაპარატით „მკოლნიკი“.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი გ. ნ. ჯიბლაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

№ 1466

1958 წ. 20 ნოემბერი

საქართველოს სსრ შვიდწლიან და საშუალო სკოლებსა და სკოლის გარეშე დაწესებულებებში ნორჩ ფიზიკოსთა და ნორჩ ქიმიკოსთა მე-13 რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების შესახებ

ნორჩ ფიზიკოსთა და ნორჩ ქიმიკოსთა მე-13 რესპუბლიკური ოლიმპიადის წარმატებით ჩატარების უზრუნველსაყოფად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1957 წლის 31 დეკემბრის № 1872 ბრძანების შესაბამისად საქართველოს სსრ შვიდწლიან და საშუალო სკოლებსა და სკოლის გარეშე დაწესებულებებში 1959 წლის 25 იანვრიდან 15 აპრილამდე ჩატარდეს საკავშირო ალკკ 40 წლისთავისადმი მიძღვნილი ნორჩ ფიზიკოსთა და ნორჩ ქიმიკოსთა მე-13 რესპუბლიკური ოლიმპიადა.

2. ოლიმპიადის ხელმძღვანელობისათვის დამტკიცდეს საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

1. საყვარელიძე გიორგი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსი — საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე;
2. შგელაძე მადონა — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი — საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე;
3. პეტრიაშვილი ნათელა — საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანი;
4. მათიაშვილი თამარ — ქ. თბილისის განათლების განყოფილების გამგე;
5. კვიმსაძე ვიქტორ — საქართველოს სსრ განათლების სამი-

ნისტროს სახელმძღვანელოებისა და მეთოდიკის განყოფილების გამგის მოადგილე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. ეპიტაშვილი გიორგი —ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის დირექტორი—საორგანიზაციო კომიტეტის მდივანი;

7. უკლება კონსტანტინე —საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექციის უფროსი;

8. ჯაფარიძე ნიკოლოზ —ქ. თბილისის 23-ე საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი;

9. დარსალია ქეთევან —საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინსპექტორი;

10. კიკვიძე ბესარიონ —მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ქიმიის კაბინეტის გამგე;

11. კობახიძე ვალერიან —პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკი;

12. ოთარაშვილი შევასტი —მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ფიზიკის კაბინეტის გამგე;

13. იშხნელი ალექსანდრე —სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი ფიზიკის კათედრის დოცენტი;

14. თალაკვაძე გერმანე —სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი ქიმიის კათედრის დოცენტი;

15. წულუკიძე გ. —პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მასწავლებელი;

16. ნახაპეტიანი ა. —პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორი;

17. კიკვაძე ნიკოლოზ —ქ. თბილისის 1-ლი საშუალო სკოლის დირექტორი, ფიზიკის მასწავლებელი;

18. უნგიაძე კლარა —ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ქიმიის ლაბორატორიის გამგე.

3. სკოლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილი ოლიმპიადის ჩატარების დებულება დამტკიცდეს.

4. ნორჩ ფიზიკოსთა და ნორჩ ქიმიკოსთა მე-13 რესპუბლი-

კური ოლიმპიადის ჩამტარებელმა საორგანიზაციო კომიტეტმა შეადგინოს სამუშაო გეგმა, უხელმძღვანელოს ოლიმპიადის ჩატარებას და მუშაობის მიმდინარეობის შესახებ პერიოდულად წარმოადგინოს მასალები საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს.

5. შვიდწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორებმა გამოიყენონ ჩატარებული ოლიმპიადის გამოცდილება და მასობრივად ჩააბან მოსწავლეები მე-13 რესპუბლიკურ ოლიმპიადაში.

6. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის დირექტორმა ამხ. გ. ეპიტაშვილმა:

ა) საჭირო დახმარება და კონსულტაცია გაუწიოს ფიზიკისა და ქიმიის მასწავლებლებსა და სკოლის გარეშე საბავშვო დაწესებულებათა ხელმძღვანელებს მე-13 რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების საქმეში;

ბ) დროულად ჩაატაროს ოლიმპიადისათვის მოსამზადებელი მუშაობა და ა/წ 25 ნოემბრამდე რაიონები უზრუნველჰყოს საჭირო მეთოდური მასალებით;

გ) მიავლინოს სადგურის მუშაკები რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში სკოლებისათვის დახმარების აღმოსაჩენად.

7. ქ. თბილისის პიონერთა სასახლის, ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურებისა და პიონერთა სახლების დირექტორებმა ფიზიკასა და ქიმიის წრეების მუშაობა დაუკავშირონ ოლიმპიადის ამოცანებს.

8. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) პედაგოგიურ კაბინეტებთან არსებულ ფიზიკისა და ქიმიის მასწავლებელთა სექციებზე განიხილონ ნორჩ ფიზიკოსთა და ნორჩ ქიმიკოსთა მე-13 რესპუბლიკური ოლიმპიადის დებულება და დასახონ ღონისძიებანი ფიზიკასა და ქიმიაში მოსწავლეთა თეორიული და პრაქტიკული ცოდნის დონის ამაღლებისათვის;

ბ) გააცნონ ნორჩ ქიმიკოსთა და ნორჩ ფიზიკოსთა ოლიმპიადის წინასწარი სავარჯიშოები ფიზიკისა და ქიმიის მასწავლებლებს და უზრუნველჰყონ ოლიმპიადაში მოსწავლეთა ფართო მონაწილეობა;

გ) ოლიმპიადის ჩატარების დებულების მიხედვით ა/წ 15 დეკემბრამდე შექმნან ხელშეწყობი საბჭოები, უხელმძღვანელონ ოლიმპიადის ცალკეული ტურების ჩატარებას და დროულად წარმოადგინონ საორგანიზაციო კომიტეტში ანგარიში ჩატარებული მუშაობის შესახებ.

9. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დამხმარე წარმოებათა და მომარაგების განყოფილებამ (ამხ. ს. არველაძე) გამოუყოს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურს ოლიმპიადის საჭიროებისათვის 500 კილოგრამი ქაღალდი.

10. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე) 1959 წლისათვის გაითვალისწინოს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ბიუჯეტში ოლიმპიადის ჩატარებისათვის საჭირო თანხა.

11. გაზეთ „სახალხო განათლებისა" და ჟურნალ „კომუნისტური აღზრდისათვის" რედაქტორებმა სისტემატურად გააშუქონ ოლიმპიადის მიმდინარეობა.

12. განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ უზრუნველყოს ოლიმპიადის მზადებისა და ჩატარების საქმეს.

საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი გ. ნ. ჯიბლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1958 წ. 14 ნოემბრის
დადგენილებით

საკავშირო ალკკ 40 წლისთავისადმი მიძღვნილი ნორჩ ფიზიკოსთა და ნორჩ ქიმიკოსთა მე-13 რესპუბლიკური ოლიმპიადის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. საკავშირო ალკკ 40 წლისთავისადმი მიძღვნილი ნორჩ ფიზიკოსთა და ნორჩ ქიმიკოსთა მე-13 რესაუბლიკური ოლიმპიადა ტარდება 1959 წლის 20 იანვრიდან 15 აპრილამდე.

2. ოლიმპიადა მიზნად ისახავს გააღრმაოს მოსწავლეთა ცოდნა ფიზიკასა და ქიმიაში, გამოავლინოს საუკეთესო ნორჩი ფიზიკოსები და ნორჩი ქიმიკოსები, ხელი შეუწყოს სკოლაში ფიზიკისა და ქიმიის წრეების მუშაობის გაუმჯობესებას.

ოლიმპიადაში მონაწილეობა სავალდებულოა ყველა შვიდწლიანი და საშუალო სკოლისათვის.

3. ოლიმპიადაში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებენ მოსწავლეები, რომელნიც შეძლებენ დამოუკიდებლად ამოხსნან საორგანიზაციო კომიტეტის მიერ დამტკიცებული სავარჯიშოები.

4. ოლიმპიადის ხელმძღვანელობისათვის არსდება რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი.

5. ოლიმპიადის ჩატარებისათვის საქართველოს სსრ ცალკეულ რაიონებსა და ქალაქებში განათლების განყოფილების ხელმძღვანელობით, ალკკ რაიკომის (ქალაქკომის), სკოლის გარეშე დაწესებულებათა და სკოლის მუშაკთა წარმომადგენლობით იქმნება ოლიმპიადის ხელშემწყობი რაიონული საბჭოები, რომლებიც მუშაობენ რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის მითითებათა საფუძველზე.

6. ნორჩ ფიზიკოსთა და ნორჩ ქიმიკოსთა ოლიმპიადა ტარდება 2 ტურად, ერთდროულად მე-7, მე-8, მე-9 და მე-10 კლასების მოსწავლეებისათვის ფიზიკაში და მე-8, მე-9 და მე-10 კლასების მოსწავლეებისათვის ქიმიაში. ოლიმპიადის ორივე ტური, რო-

გორც ფიზიკაში ისე ქიმიაში დასწრებულია. ყოველი კლასისათვის ამოცანები დგება ამ კლასის პროგრამის საფუძველზე.

7. მოსწავლეთა ნამუშევრების შეფასება ხდება ქულების მიხედვით. ამოცანის სწორი და სრული ამოხსნა შეფასდება ორი ქულით, სწორი მაგრამ არასრული ამოხსნა — ერთი ქულით, ხოლო არასწორი პასუხისათვის მონაწილეს ქულა არ ეწერება.

8. ოლიმპიადის პირველი ტური ტარდება 1959 წლის 20—30 იანვრამდე საორგანიზაციო კომიტეტის მიერ დადგენილ დღეს.

9. ოლიმპიადის ჩატარებისათვის რაიონში (ქალაქში), არსდება მხოლოდ ერთი პუნქტი (სკოლა, სკოლის გარეშე დაწესებულება, უმაღლესი სასწავლებელი და სხვ.). პირველი ტური როგორც ქიმიაში, ისე ფიზიკაში ტარდება ერთ დღეს ყველა კლასისათვის.

შენიშვნა: თუ ტურში მონაწილეთა რაოდენობა პუნქტის გამტარუნარიანობაზე მეტი აღმოჩნდება (ნავარაუდევია საშუალო სკოლის შენობაზე 200 მონაწილის გატარება), გამოიყოფა დამატებითი პუნქტი და ტურის ჩატარებელი კომისია.

პირველი ტურის ჩასატარებლად ოლიმპიადის ხელმძღვანელობა საბჭო პუნქტისათვის გამოყოფს კომისიას მასწავლებელთა და სკოლის გარეშე დაწესებულებათა წარმომადგენლების შემადგენლობით.

კომისია მიიღებს ამოცანებს დალუქული პაკეტით და დაწვრილებით ინსტრუქციას პირველი ტურის ჩატარების შესახებ.

პირველი ტურის შემდეგ კომისია განიხილავს ამოხსნილ ამოცანებს, შეაფასებს ქულებით და გამოჰყოფს გამარჯვებულებს.

ოლიმპიადის ის მონაწილენი, რომლებიც დააგროვებენ ქულების მაქსიმალურ რაოდენობას დაიშვებიან მეორე ტურზე.

10. მეორე ტური ტარდება 1959 წლის 15 აპრილიდან 25 აპრილამდე საორგანიზაციო კომიტეტის მიერ დადგენილ დღეს.

ოლიმპიადის ადგილობრივი საბჭო აარსებს მეორე ტურის ჩასატარებელ პუნქტს. მეორე ტური ტარდება ერთ დღეს ყველა კლასისათვის როგორც ფიზიკაში, ისე ქიმიაში.

მეორე ტურის ჩასატარებლად ოლიმპიადის ხელმძღვანელობა საბჭო პუნქტისათვის გამოჰყოფს კომისიას ფიზიკის და ქიმიის მასწავლებლებისა და სკოლის გარეშე დაწესებულებათა წარმომადგენლების შემადგენლობით.

კომისია მიიღებს ამოცანებს დალუქული პაკეტით და დაწვრილებით ინსტრუქციას მეორე ტურის ჩატარების შესახებ.

11. მეორე ტურზე საერთო ხელმძღვანელობასა და კონტროლს ახორციელებს რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების გამგე.

12. მეორე ტურის ჩატარების შემდეგ კომისია განიხილავს ამოხსნილ ამოცანებს, შეაფასებს ქულებით და გამოყოფს გამარჯვებულებს, ამასთან ბხედველობაში ხიიღებს ამოცანების ამოხსნის ხარისხს პირველ ტურშიაც, რის შემდეგ, ნამუშევრებს გადასცემს რაიონის (ქალაქის) ხელშემწყობ საბჭოს.

13. ადგილობრივი რაიონული (საქალაქო) საბჭოები აჯამებენ ადგილებზე ჩატარებულ მუშაობას და 1959 წლის 5 ივისამდე უგზავნიან ოლიმპიადის რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტს გამარჯვებულთა I და II ტურის ნამუშევრებს და დაწვრილებით ანგარიშს ჩატარებული მუშაობის შესახებ.

14. ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტი აჯამებს ადგილებზე ჩატარებული მუშაობის შედეგებს, შეარჩევს გამარჯვებულებს და აჯილდოებს მათ. ჯილდოვდებიან აგრეთვე სკოლისა და სკოლის გარეშე დაწესებულებათა მუშაკები, რომელთაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ოლიმპიადის ჩატარებაში.

15. ოლიმპიადის შედეგები ეცნობება ადგილობრივ ხელშემწყობ საბჭოებს და ქვეყნდება პრესაში.

ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის მისამართი—ქ. თბილისი, პლეხანოვის პროსპექტი № 182, ნორი ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური.

გორც ფიზიკაში ისე ქიმიაში დასწრებულია. ყოველი კლასისათვის ამოცანები დგება ამ კლასის პროგრამის საფუძველზე.

7. მოსწავლეთა ნამუშევრების შეფასება ხდება ქულების მიხედვით. ამოცანის სწორი და სრული ამოხსნა შეფასდება ორი ქულით, სწორი მაგრამ არასრული ამოხსნა — ერთი ქულით, ხოლო არასწორი პასუხისათვის მონაწილეს ქულა არ ეწერება.

8. ოლიმპიადის პირველი ტური ტარდება 1959 წლის 20—30 იანვრამდე საორგანიზაციო კომიტეტის მიერ დადგენილ დღეს.

9. ოლიმპიადის ჩატარებისათვის რაიონში (ქალაქში), არსდება მხოლოდ ერთი პუნქტი (სკოლა, სკოლის გარეშე დაწესებულება, უმაღლესი სასწავლებელი და სხვ.). პირველი ტური როგორც ქიმიაში, ისე ფიზიკაში ტარდება ერთ დღეს ყველა კლასისათვის.

შენიშვნა: თუ ტურში მონაწილეთა რაოდენობა პუნქტის გამტარუნარიანობაზე მეტი აღმოჩნდება (ნავარაუდევია საშუალო სკოლის შენობაზე 200 მონაწილის გატარება), გამოიყოფა დამატებითი პუნქტი და ტურის ჩატარებელი კომისია.

პირველი ტურის ჩასატარებლად ოლიმპიადის ხელშემწყობი საბჭო პუნქტისათვის გამოყოფს კომისიას მასწავლებელთა და სკოლის გარეშე დაწესებულებათა წარმომადგენლების შემადგენლობით.

კომისია მიიღებს ამოცანებს დალუქული პაკეტით და დაწვრილებით ინსტრუქციას პირველი ტურის ჩატარების შესახებ.

პირველი ტურის შემდეგ კომისია განიხილავს ამოხსნილ ამოცანებს, შეაფასებს ქულებით და გამოჰყოფს გამარჯვებულებს.

ოლიმპიადის ის მონაწილენი, რომლებიც დააგროვებენ ქულების მაქსიმალურ რაოდენობას დაიშვებიან მეორე ტურზე.

10. მეორე ტური ტარდება 1959 წლის 15 აპრილიდან 25 აპრილამდე საორგანიზაციო კომიტეტის მიერ დადგენილ დღეს.

ოლიმპიადის ადგილობრივი საბჭო აარსებს მეორე ტურის ჩასატარებელ პუნქტს. მეორე ტური ტარდება ერთ დღეს ყველა კლასისათვის როგორც ფიზიკაში, ისე ქიმიაში.

მეორე ტურის ჩასატარებლად ოლიმპიადის ხელშემწყობი საბჭო პუნქტისათვის გამოჰყოფს კომისიას ფიზიკის და ქიმიის მასწავლებლებისა და სკოლის გარეშე დაწესებულებათა წარმომადგენლების შემადგენლობით.

კომისია მიიღებს ამოცანებს დალუქული პაკეტით და დაწვრილებით ინსტრუქციას მეორე ტურის ჩატარების შესახებ.

11. მეორე ტურზე საერთო ხელმძღვანელობასა და კონტროლს ახორციელებს რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების გამგე.

12. მეორე ტურის ჩატარების შემდეგ კომისია განიხილავს ამოხსნილ ამოცანებს, შეაფასებს ქულებით და გამოყოფს გამარჯვებულებს, ამასთან მხედველობაში ხიიღებს ამოცანების ამოხსნის ხარისხს პირველ ტურშიაც, რის შემდეგ, ნამუშევრებს გადასცემს რაიონის (ქალაქის) ხელშემწყობ საბჭოს.

13. ადგილობრივი რაიონული (საქალაქო) საბჭოები აჯამებენ ადგილებზე ჩატარებულ მუშაობას და 1959 წლის 5 მაისამდე უგზავნიან ოლიმპიადის რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტს გამარჯვებულთა I და II ტურის ნამუშევრებს და დაწვრილებით ანგარიშს ჩატარებული მუშაობის შესახებ.

14. ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტი აჯამებს ადგილებზე ჩატარებული მუშაობის შედეგებს, შეარჩევს გამარჯვებულებს და აჯილდოებს მათ. ჯილდოვდებიან აგრეთვე სკოლისა და სკოლის გარეშე დაწესებულებათა მუშაკები, რომელთაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ოლიმპიადის ჩატარებაში.

15. ოლიმპიადის შედეგები ეცნობება ადგილობრივ ხელშემწყობ საბჭოებს და ქვეყნდება პრესაში.

ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის მისამართი—ქ. თბილისი, პლეხანოვის პროსპექტი № 182, ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

№ 1481

1958 წლის 24 ნოემბერი

საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების ზამთრისათვის მზადყოფნის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ კოჯრის პირველი, მე-2, მე-4, მე-6, კასპის საბავშვო სახლები, ქ. თბილისის უსინათლო, ყრ. უნჯ ბავშვთა და ქ. თბილისის პირველი დამხმარე სკოლა-ინტერნატები მომზადებული არიან ზამთრისათვის. დროულად მოიყვანეს წესრიგში შენობა ნაგებობანი, შეაკეთეს ღუმელები, შეიძინეს საკმაო რაოდენობით რბილი და მაგარი ინვენტარი და მოიმარაგეს სათბობი.

მიუხედავად ამისა, საბავშვო სახლების ზამთრისათვის მზადყოფნის საქმეს ახასიათებს სერიოზული ნაკლოვანებანი. ეწრის საბავშვო სახლი სრულიად მოუმზადებელი ხვდება ზამთარს. ჯერ კიდევ ადგილზე სათბობი მიზიდული არ არის, ფანჯრის მინები ჩამტვრეულია, მოუწესრიგებელია ლოგინის მოწყობილობა და თეთრეული, აღსაზრდელთა უმრავლესობას არ გააჩნია პალტოები, ფეხსაცმელები, ხელთათმანები, წინდები, კალოშები და სხვ.

კოჯრის მესამე საბავშვო სახლის შენობა კვლავ ავარიულ მდგომარეობაშია. შენობის წინა მხრიდან მიშენებული ნაწილი უკვე დეფორმირებულია და საჭიროებს კვლავ შეკეთებას. სამუშაოთა მწარმოებელი ჭ. წულაძე ზერელედ და უპასუხისმგებლოდ მოეკიდა საბავშვო სახლის რემონტის საქმეს.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა მ/წლის 10 დეკემბრამდე დაამთავრონ შენობა-

ნაგებობათა რემონტი, საწვავი მასალის ადგილზე მიზიდვა და უზრუნველყონ აღსაზრდელები თბილი ტანსაცმელ-ფეხსაცმელით.

2. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (უფროსი ა. ...ადუა) 15 დღის განმავლობაში უზრუნველყოს კოჯრის მესამე საბავშვო სახლის რემონტის დამთავრება. შესრულების შესახებ მოახსენოს მორიგ კოლეგიას.

3. მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა განყოფილებამ (უფროსი ს. არველაძე) უზრუნველყოს საბავშვო სახლები და სპეციალური სკოლა-ინტერნატები საზამთრო ტანსაცმელ-ფეხსაცმელით.

4. ეწრის საბავშვო სახლის მუშაობის საკითხი განხილულ იქნას ცალკე.

5. მიღებულ იქნას ცნობად, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სარემონტო კანტორის ინჟინერ ჭ. წულაძის საქმე გადაცემულია საგამომძიებლო ორგანოებზე.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1958 წლის 21 ნოემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **გ. ნ. ჯიბლაძე.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

№ 1504

1958 წლის 2 დეკემბერი

ბუნების დაცვის საქმეში რესპუბლიკის სკოლების მონაწილეობის შესახებ

წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეების, მექანიზატორების, მუშა-მოსამსახურეების, სოფლისა და სატყეო მეურნეობის სპეციალისტების მიმართვა საქართველოს ყველა მშრომელისადმი ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვის, მისი აღდგენის და უახლოეს 3—4 წელიწადში რაიონის მინდორველების მწვანე ნარგავებით დაფარვის შესახებ მიმაჩნია დიდმნიშვნელოვან საქმედ, რისთვისაც

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

I. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

1. განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების საბჭოს სხდომებზე განიხილონ საკითხი ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვის, მისი აღდგენისა და მინდორ-ველების მწვანე ნარგავებით დაფარვის საქმეში სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების აქტიური მონაწილეობის შესახებ.

2. კვალიფიციური ლექტორების საშუალებით მოაწყონ პოპულარული ლექცია-საუბრები ტყის და მწვანე ნარგავების მნიშვნელობისა და მათი მოვლა-პატრონობის შესახებ.

3. ერთი თვის განმავლობაში ჩაატარონ განათლების მუშაკთა ზონალური თათბირები ფლორისა და ფაუნის გამდიდრების მიზნით ქმედითი ღონისძიებების გასატარებლად.

4. ყოველწლიურად გამოავლინონ ტყისა და მწვანე ნარგავების გაშენებისა და დაცვის საქმეში მოწინავე სკოლები და ფართოდ გააშუქონ მათ მიერ ჩატარებული მუშაობა რაიონულ თათბირებზე და პრესის ფურცლებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. სკოლების დირექტორებმა (გამგეებმა):

1. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ცალკეულ საგნებში შესაბამისი თემების სწავლებისას ტყისა და მწვანე ნარგავების მნიშვნელობის შესახებ საკითხების გაშუქებას და მოსწავლეთა მიერ ცოცხალი ბუნებისადმი სიყვარულის გამომუშავებას,

2. მოსწავლეებთან ჩაატარონ ლექცია საუბრები ადამიანის ჯანმრთელობასა და კლიმატურ პირობებზე ტყისა და მწვანე ნარგავების დადებითი გავლენის შესახებ.

3. მოაწყონ სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე ან კოლმეურნეობის მიერ სპეციალურად გამოყოფილ ფართობზე მცენარეთა სხვადასხვა ჯიშების სანერგე და ფართოდ გაავრცელონ მათ მიერ გამოყვანილი ჯიშები მოსახლეობაში.

4. უზრუნველყონ მოსწავლეთა ფართო მონაწილეობა ტყისა და მწვანე ნარგავების გაშენების საქმეში, დანერგონ მოსწავლეთა შორის ისეთი ჩვევები, რომ V—X კლასების თითოეულმა მოსწავლემ სკოლის ან კოლმეურნეობის ნაკვეთზე ყოველწლიურად დარგონ და გაახარონ 3—3 ძირი, ხოლო გზის პირას 2—2 ძირი მცენარე.

5. დაუყოვნებლივ შექმნან სკოლებში მოსწავლეთა სპეციალური ბრიგადები. ბრიგადებზე გააპიროვნონ უახლოეს ნაკვეთებზე დარგული მცენარეები მათი მოვლა-დაცვის მიზნით.

6. ტყისა და მწვანე ნარგავების გავრცელებისა და მოვლა-დაცვის საქმეში მოწინავე მოსწავლეთა წასახალისებლად დააწესონ ჯილდოები და მოწინავეთა მუშაობა ფართოდ გააშუქონ ადგილობრივი პრესის ფურცლებზე.

III. სკოლების სამმართველომ (გ. საყვარელიძე) სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმებისას თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობას.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **მ. ბურჭულაძე.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ПОСТАНОВЛЕНИЕ

КОЛЛЕГИИ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР И ПРЕЗИДИУМА ГРУЗИНСКОГО РЕСПУБЛИКАНСКОГО КОМИТЕТА ПРОФСОЮЗА РАБОТНИКОВ ПРОСВЕЩЕНИЯ, ВЫСШЕЙ ШКОЛЫ И НАУЧНЫХ УЧРЕЖДЕНИЙ

14 ноября 1958 г.

О мероприятиях по выполнению решений I съезда профсоюза работников просвещения, высшей школы и научных учреждений

Коллегия Министерства просвещения Грузинской ССР и Президиум Грузинского республиканского комитета профсоюза работников просвещения, высшей школы и научных учреждений отмечают, что совместное проведение общественных смотров учебных кабинетов, лабораторий, учебных мастерских, учебно-опытных участков и библиотек школ республики, совместная разработка проекта условий, а также итогов социалистического соревнования за лучшую подготовку школ и детских учреждений к новому учебному году для расмотрения этого вопроса в Совете Министров Грузинской ССР и в Совпрофе Грузии, обсуждение проектов семилетнего (1959—1965 г. г.) плана развития народного образования и других вопросов на коллегии Министерства с участием представителей Президиума республиканского комитета дали положительные результаты.

Учитывая, что ответственность за имеющиеся недостатки в работе органов народного образования и школ, как то: невыполнение народно-хозяйственного плана по контин-

гентам учащихся, отсев школьников в течение учебного года, низкую успеваемость учащихся, наличие большого количества второгодников, слабую постановку воспитательной работы в ряде школ и других детских учреждений вместе несут с педагогическими коллективами школ и органами народного образования и профсоюзные организации, коллегия Министерства просвещения Грузинской ССР и Президиум Грузинского республиканского Комитета профсоюза работников просвещения, высшей школы и научных учреждений, в целях обеспечения выполнения решений 1 съезда профсоюза работников просвещения, высшей школы и научных учреждений, ПОСТАНОВЛЯЮТ:

1. Обеспечить дальнейшую мобилизацию внимания работников органов народного образования и школ для улучшения качества учебно-воспитательной работы в школах, осуществления всеобщего обязательного обучения, укрепления материальной базы школ, обеспечения связи школы с жизнью с тем, чтобы школа давала широкое, общее и политехническое образование, а также определенную производственную специальность.

2. Рассматривать на коллегии совместно с представителями Республиканского комитета вопросы планирования сети школ и детских учреждений, контингентов учащихся, строительства школ и детских учреждений, заблаговременно направляя в Республиканский комитет профсоюза материалы, подготовленные к заседаниям коллегии Министерства просвещения.

3. Для обсуждения наиболее важных производственных вопросов по обмену опытом практиковать не реже 2—3 раз в год созывы активов и конференций работников органов просвещения совместно с профсоюзными организацями.

4. На совместном заседании коллегии Министерства и Президиума Республиканского комитета профсоюза пересмотреть:

а) Положение о производственном совещании;

б) Положение о Советах народного образования;

в) Положение об организации смотра школ, детских домов, детских садов, внешкольных учреждений и по подготовке к новому учебному году;

г) Правила внутреннего распорядка;

д) Письмо о бюджете времени работников просвещения.

5. Министерству просвещения совместно с Президиумом республиканского комитета профсоюза:

а) проводить общественный смотр студенческих общежитий, школ, детских домов и других учреждений народного образования;

б) рассматривать перспективные планы подготовки учителей, повышения квалификации учителей и других работников народного образования;

в) решать вопросы выдвижения на руководящую работу и представления к награждению учителей и других работников народного образования различными видами наград и присвоения почетного звания „Заслуженного учителя школы Грузинской ССР".

6. Организовывать и руководить социалистическим соревнованием по подготовке школ и детских учреждений к новому учебному году.

7. Областным, районным и городским комитетам профсоюза работников просвещения, высшей школы и научных учреждений принять необходимые меры к тому, чтобы местные комитеты профсоюза и комиссии по трудовым спорам полностью развернули работу согласно положениям, утвержденным указами Президиума Верховного Совета СССР, а местным органам просвещения оказывать им всемерную помощ в этом деле.

8. Предложить областным, районным и городским комитетам профсоюза работников просвещения, высшей школы и научных учреждений и местным органам просвещения в своей повседневной работе руководствоваться данным постановлением и совместно рассматривать и решать вопросы, стоящие перед ними в области просвещения.

Министр просвещения
Грузинской ССР
Г. Н. Джибладзе.

Председатель Республиканского Комитета профсоюза работников просвещения, высшей школы и научных учреждений
Л. И. Маглаперидзе

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

		გვ.
1.	ბრძანება № 1373 528—მოსწავლეთა მე-10 რესპუბლიკური სპარტაკიადის ჩატარებისა და მე-5 საკავშირო სპარტაკიადაში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მოსწავლე სპორტსმენთა კოლექტივის მონაწილეობის შედეგების შესახებ	3
2,	ბრძანება № 1376—ოქროსა და ვერცხლის მედლებით დაჯილდოებული საშუალო სკოლის ზოგიერთი კურსდამთავრებულის შესახებ	10
3.	ბრძანება № 1386—1953 წლის მესამე კვარტალში საბავშვო სახლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ	20
4.	ბრძანება № 1395—ნორჩ მათემატიკოსთა მეორე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგებისა და მესამე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ	24
5.	დებულება ნორჩ მათემატიკოსთა მესამე რესპუბლიკური ოლიმპიადის შესახებ	28
6.	ბრძანება № 1422—სწავლებაში სასწავლო კინოს წარმატებით გამოყენების საქმეში ქ. თბილისის მე-14 საშუალო სკოლის გამოცდილების შესახებ	31
7.	ბრძანება № 1466 — საქართველოს სსრ შვიდწლიან და საშუალო სკოლებსა და სკოლის გარეშე დაწესებულებებში ნორჩ ფიზიკოსთა და ნორჩ ქიმიკოსთა მე-15 რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების შესახებ	33
8.	ბრძანება № 1481 — საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების ზამთრისათვის მზადყოფნის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ	40
9.	ბრძანება № 1504—ბუნების დაცვის საქმეში რესპუბლიკის სკოლების მონაწილეობის შესახებ	42
10.	Постановление коллегии Министерства просвещения Грузинской ССР и Президиума Грузинского республиканского Комитета профсоюза работников просвещения, высшей школы и научных работников	44

№ 8
59

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორი მ. ბურჭულაძე

* * *

გადაეცა წარმოებას 24/XI—58 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/XII, ანაწყობის ზომა 6×10, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 3, სტამბის შეკ. № 846, ტირაჟი 5000.

უ ფ ა ს ო

* * *

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა
თბილისი, უშ. ჩხეიძის ქ., 19.

Типография Министерства просвещения Грузинской ССР
Тбилиси, ул. Уш. Чхеидзе, 19.

ეროვნული
ბიბლიოთეკა